

საქართველოს პარლამენტის ი. ჭავჭავაძის სახ.  
ეროვნული ბიბლიოთეკა

**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**

ანოტირებული ბიბლიოგრაფიული საძიებელი

№6

თბილისი  
2008

საძიებელზე მუშაობდნენ: ე. იმნაძე, ლ. კარბელაშვილი,  
ლ. მარინაშვილი, ნ. მაჭავარიანი, ი. სისაური, ფ. ცარიტოვა

გამოცემის რედაქტორი: ვ. კიკილაშვილი

რედაქტორი: ჟ. ქვათაძე

ბიბლიოგრაფიული რედაქტორი: გ. თაყნიაშვილი

კონსულტანტი კლასიფიკაციის საკითხებში: ლ. კაკულია

კომპიუტერული უზრუნველყოფა: თ. ქურციკიძე

დაკაბადონება და დიზაინი: შ. პაპალაშვილი

## რედაქტორისაგან

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა შეაგროვოს, ფართოდ წარმოაჩინოს და საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ლიტერატურაზე.

განყოფილება აგრძელებს საინფორმაციო საძიებელ «საქართველოს» გამოცემას, რომელიც საქართველოსმცოდნეობით დაინტერესებულ პირებსა და სამეცნიერო დაწესებულებებს მიაწვდის ინფორმაციას ბიბლიოთეკაში შემოსულ ახალ წიგნებზე, ჟურნალებსა და კრებულებში გამოქვეყნებულ სამეცნიერო თუ პოპულარული ხასიათის საინტერესო სტატიებზე.

წინამდებარე საძიებელი წინა საძიებლების გაგრძელებაა. ეს და შემდეგი რამდენიმე გამოცემაც ხარვეზების (2008 წლამდე) შევსებას ითვალისწინებს.

საძიებელში წარმოდგენილი მასალა განლაგებულია ქართველოლოგიის განყოფილებაში კატალოგებისა და კარტოთეკებისათვის გამოყენებული უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. იგი ანოტირებულია, რაც მკითხველს დასახელებული ლიტერატურის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის საშუალებას მისცემს.

მაჩვენებელს ერთვის პირთა ანბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

საინფორმაციო საძიებელზე მომუშავე თანამშრომლები სიამოვნებით მიიღებენ დაინტერესებულ პირთა შენიშვნებსა და წინადადებებს.

## დამწერლობა

1. კანდელაკი ნ. , ცერცვაძე გ. ქართული ასომთავრული ანბანის კრიპტოანალიზი . – თბ. , 2005 . – 151 გვ.

ქართული ასომთავრული დამწერლობის წარმომავლობა, ანბანის სტრუქტურა და ქართულ ასომთავრულ ანბანში დაშიფრული რიცხვითი ინფორმაცია.

2. ხურცილავა ბ. დიდი ბაკური – ქართული ასომთავრული დამწერლობის ფუძემდებელი . – თბ. , 2003 . – 175 გვ.

მონოგრაფია ეძღვნება ადრექრისტიანული ხანის (IV – Vსს.) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის, მეცნიერის, მწიგნობრის, ეროვნული ქრისტიანული დამწერლობისა და კალენდარული წელთაღრიცხვის ერთ-ერთი შემქმნელის დიდი ბაკურის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

3. ხურცილავა ბ. ძველი ქართული დამწერლობის ისტორიისათვის . – თბ. , 2005 . – 108 გვ.

ნაშრომი გვაცნობს ქართული ქრისტიანული წელთაღრიცხვის და ასომთავრული ანბანის ურთიერთმიმართებას, დამწერლობის წარმოშობის საკითხს და ქართული ანბანის შემქმნელ პირთა მსოფლმხედველობას.

## ინფორმაციული ტექნოლოგიები

4. კუპრაშვილი ნ. რეკლამა ინტერნეტში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 27 – 30.

ბანერო-რეკლამა კომპიუტერულ ქსელში.

## კულტურა

5. კულტურის ისტორიისა და თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სტუდენტთა IV რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები / რედ. : გ. ლორთქიფანიძე . – თბ. , 2002 . – 144 გვ.

კრებულში წარმოდგენილია მოხსენებები რელიგიის, ცივილიზაციის, ისტორიის, კულტურის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების საკითხებზე.

6. გაგნიძე ზ. დასავლური აზროვნება და ეროვნული იდეოლოგია // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 224 – 238. რეზ. ინგლ. ენაზე.

წერილში დასაბუთებულია, რომ ქართული იდეოლოგია, ემყარება რა მსოფლიო ცივილიზაციას და საკაცობრიო ღირებულებებს, მიაწინებს ქართული სულის თავისებურებებზე და მიიღებს თავისი ადგილის დამკვიდრებისაკენ მსოფლიო სტრუქტურებში.

7. გეგეჭკორი ე. თბილისის კულტურული ცხოვრება XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX ს-ის დასაწყისში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 54–63. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ევროპული ორიენტაციისაკენ სწრაფვა, სასწავლებლებისა და სემინარიების გახსნა, სტამბების აღდგენა, ვაჭრობა-მრეწველობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება, დასავლეთის ქვეყნებთან კავშირი, ამქრული ორგანიზაციების (მათ შორის მხატვართა ამქრის) წარმოშობა და სხვა.

8. მჭედლიშვილი გ. ქართული ცივილიზაციის იდენტიფიკაციისათვის // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 208 – 223. რეზ. ინგლ. ენაზე.

საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ანალიზის საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ საქართველო ევროპის განუყოფელი ნაწილია და მისი კულტურა ეფუძნება ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის საერთო საფუძვლებს.

9. ცერაძე თ. ერთი ფაქტი ქართულ სამწიგნობრო კერათა ურთიერთობების ისტორიიდან // ანამკი : ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი . – თბ. , 2002 . – გვ. 246 – 259. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართული სავანეები კუნძულ კვიპროსზე, კერძოდ, კულტურულ-საგანმანათლებლო კერა \_ ჟალიას ან ღალიას მონასტერი, ქართული წყაროების მიხედვით.

### **ფსევდონიმები**

10. გოდერძიშვილი ქ. ერთი რიგის უეპითეტო ფსევდონიმთა კლასიფიკაციისათვის // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2003 . – გვ. 97 – 101. რეზ. რუს. ენაზე.

ქართულ ფსევდონიმებზე დაყრდნობით განხილულია ორი ძირითადი მოდელი: 1) ოდენონიმური მოდელი უეპითეტოდ – უეპითეტო ფსევდონიმები და 2) ეპითეტდართული ონიმური მოდელი \_ ეპითეტთან ფსევდონიმები.

### **ბიბლიოგრაფია. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებლები**

11. ეთნოგრაფია–ეთნოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია: 1924–1994 / შემდგ. : მ. ქანთარია, მ. ხაზარაძე; რედ. : ჯ. რუხაძე. – თბ. , 2004 . – 665 გვ.

ბიბლიოგრაფიაში ასახულია ქართულ, რუსულ და უცხო ენებზე გამოქვეყნებული გამოკვლევები, სტატიები, რეცენზიები, საგაზეთო პუბლიკაციები და მოხსენებათა თეზისები. ნაშრომი სისტემატიზებულია. დართული აქვს პირთა საძიებელი და შემოკლებათა სია.

12. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში დაცული საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ბიბლიოგრაფია. Nნაწ. 2. 1987–2005 / შემდგ. : ნ. ზუკაკიშვილი; რედ. : ალ. დაუშვილი. – თბ. , 2005 . – 40 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლების, სხვა დაწესებულებების წარმომადგენლებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მეცნიერ-მუშაკების ნაშრომები. მასალა დალაგებულია ქრონოლოგიურად ანბანზე.

13. კაციტაძე დ. ვალერიან გაბაშვილი – ბიბლიოგრაფია . – თბ. , 2001 . – 153 გვ.

ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსის ვ. გაბაშვილის ცხოვრება, მოღვაწეობა და ნაშრომთა სია. დართული აქვს მეცნიერის ფოტოები. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

14. რუსთველოლოგიური ლიტერატურა = Rustvelological Literature. წ. 2: 1957–1965 წ.წ. ანოტირებული ბიბლიოგრაფია / [რედ. : მ. კარბელაშვილი, ნ. სულავა] . – თბ. , 2002 . – 368 გვ.

წინამდებარე წიგნი გაგრძელებაა გაიოზ იმედაშვილის კაპიტალური ნაშრომისა «რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712 – 1956 წლები», (თბ. 1957 წ.)

ანოტირებული ბიბლიოგრაფიის მეორე ტომში შევიდა გ. იმედაშვილის პირად არქივსა და შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან არსებულ «ვეფხისტყაოსნის» აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში დაცული ახლადმოპოვებული მასალები. ნაშრომში წარმოდგენილია «ვეფხისტყაოსანთან» და რუსთაველის სახელთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა.

15. ანგია ბოჭორიშვილის სამეცნიერო პუბლიკაციები / ბიბლიოგრაფია შეადგინა ნ. მშვენიერაძემ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - № . – გვ. 86 – 89.

16. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ჟურნალში... // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2004 – 2005 . – გვ. 282 – 297.

«მომხსენებელი» (1960 – 1963) და მის გაგრძელება «მაცნეში» (1964 – 1970) გამოქვეყნებული ფილოლოგიური ნაშრომების ბიბლიოგრაფია. შეადგინა ლ. სიხარულიძემ.

### ენციკლოპედიები. ლექსიკონები

17. ბედოშვილი გ. ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი . ნაწ. 1 . – თბ. , 2002 . – 625 გვ.

ნაშრომს ახლავს პირთა და ეთნიკურ-სატომო სახელთა საძიებელი და მთხრობელ-ინფორმატორების სია.

18. ეკონომიკური და დემოგრაფიული ტერმინოლოგია : (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) / შემდგ. : პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე, ლ. ჩიქავა, ა. კომპელაშვილი; ლეო ჩიქავას საერთო რედ. . – თბ. , 2001 . – 634 გვ.

აკადემიკოსების პ. გუგუშვილისა და ვ. ჩანტლაძის მიერ მომზადებული, ლ. ჩიქავასა და ა. კომპელაშვილის მიერ ახალი ტერმინებით შევსებული, დაზუსტებული და დასრულებული ნაშრომი.

19. ვახვახიშვილი ი. ესპანურ-ქართული ლექსიკონი: 22000 სიტყვა . – თბ. , 2002 . – 579 გვ.

ლექსიკონი მოიცავს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ლექსიკას, სამეცნიერო-ტექნიკურ, იურიდიულ, ფინანსურ, ეკონომიკურ, ქიმიურ, ფიზიკა-მათემატიკურ, რელიგიურ, ანატომიურ, ფიზიოლოგიურ, სამედიცინო და ჟარგონულ ტერმინოლოგიას, ლათინურ ამერიკაში ხმარებულ სიტყვებსა და გამოთქმებს.

20. თაბუაშვილი ლ. სასოფლო-სამეურნეო და ეკოლოგიური ტერმინების ფრანგულ-ქართული ლექსიკონი . – თბ. , 2005 . – 260 გვ.

21. თბილისი : ენციკლოპედია / სარედ. კოლ. : ა. საყვარელიძე (მთ. რედ.) და სხვ. . – თბ. , 2002 . – 1056 გვ.

ენციკლოპედიაში თავმოყრილია ძირითადი ცნობები თბილისის შესახებ: ქალაქის ისტორიული წარსული და თანამედროვეობა, მოსახლეობა, ქალაქმშენებლობა, ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა და თბილისური ტრადიციები. წარმოჩენილია ცნობილი ადამიანები.

22. მართლმადიდებლობის მცირე ლექსიკონი / წიგნის შედგენაზე მუშაობდნენ : გ. კვიციანი, გ. შურდია; რედ. : გ. გამრეკელი, გ. ზვიადაძე . – თბ. , 2002 . – 123 გვ.

ნაშრომში მოცემულია მართლმადიდებლურ ლიტერატურაში გამოყენებული სპეციფიკური საეკლესიო სიტყვების არსი და მნიშვნელობა.

23. მარკეტინგის ტერმინთა ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი / რედკოლ. : ბორის (ბუბა) ლეჟავა და სხვ. . – თბ. , 2005 . – 198 გვ.

იდების, საქონლისა და მომსახურების კონცეფციის, ფასწარმოქმნის, გაყიდვის სტიმულირების, განაწილების დაგეგმვისა და შესრულების პროცესი და ამ დარგის ინგლისურ-ქართული შესატყვისები.

24. მოკლე ფრანგულ-ქართული სასოფლო-სამეურნეო ლექსიკონი / რედ. : ც. გიგაური . – თბ. , 2002 . – 146 გვ.

ლექსიკონი, რომელიც მოიცავს ანბანურად განლაგებულ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობის 8000-მდე სიტყვას, შედგენილია ლ. თაბუაშვილის მიერ.

25. ნავთობისა და გაზის ინგლისურ-რუსულ-ქართული ლექსიკონი, რუსული და ქართული ტერმინების საძიებლით / შემდგ. : რ. კანდელაკი და სხვ. . – თბ. , 2005 . – 595 გვ.

ლექსიკონი მოიცავს 17500 ლექსიკურ ერთეულს. მასში წარმოდგენილია ნახშირწყალბადების გეოლოგიის, ბურღვის, ძებნა-ძიების გეოფიზიკური და გეოქიმიური მეთოდების, მოპოვების, ტრანსპორტირებისა და ამ დარგებში შრომის დაცვის ტერმინები.

26. რელიგიურ სიტყვათა განმარტებანი: (ლექსიკონი) / [შემდ.N: ნ. აჭარაძე] . – თბ. , 2001 . – 351 გვ.

სხვადასხვა რელიგიებთან დაკავშირებული ტერმინების, ისტორიული მოვლენების, ცნობებისა და პირთა სახელების განმარტებითი ლექსიკონი.

27. სამხედრო ტერმინთა ინგლისურ-ქართული ლექსიკონი / შემდგ. : ი. ფალიანი და სხვ. ; სარედ. ჯგუფი : ნ. ლალიაშვილი და სხვ. – თბ. , 2001 . – 174 გვ.

ლექსიკონი შეიცავს 8000-მდე ინგლისურ სიტყვას, შესაბამის ფრაზეოლოგიასა და იდიომატიკას. მასში დანართის სახით წარმოდგენილია ნატოს სამხედრო სიმბოლოთა ქართული განმარტებები.

28. სანიკიძე თ. «უქარქაშო ხმლებში» ჩაწყობილი ლოგოსები . – თბ. , 2000 . – 179 გვ.

წიგნი წარმოადგენს «უქარქაშო ხმლებიდან» ამოკრეფილი იმ სიტყვების ლექსიკონს, რომლებიც «ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში» არ არის დაფიქსირებული. ლექსიკონი შედგენილია «უქარქაშო ხმლების» ავტორის ლ. სანიკიძის მიერ.

29. სანიკიძე ც. აკაკი წერეთლის მხატვრულ შესიტყვებათა ლექსიკონი . – თბ. , 2001 . – 126 გვ.

აკაკის ნაწარმოებებიდან ამოკრეფილი ორიგინალური შესიტყვებების ლექსიკონი. მაგ. : «ათამაშებს ოცნებას», «ლოთიანი სიტყვა», «სიფრთხილით წინმხედველობა» და სხვ.

30. ტოპეშაშვილი თ. მანქანათსაშენი ხაზვის განმარტებითი ლექსიკონი : (ძირითადი ტერმინები) . – თბ. , 2005 . – 42 გვ.

ლექსიკონში წარმოდგენილია მანქანათსაშენი ხაზვის, მხაზველობითი გეომეტრიის ტერმინები და მანქანათმშენებლობაში ფართოდ გამოყენებული მასალების სახელწოდებები. ტერმინები დალაგებულია ქართული ანბანის თანმიმდევრობით და მოიცავს 475 ტერმინს.

31. ჭინჭარაული ა. ხევსურული ლექსიკონი. – თბ. , 2005 . – 1179 გვ.

ნაშრომი აგებულია ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის პრინციპებზე. წარმოდგენილია არქაული დიალექტის სალექსიკონო მასალის 25000-მდე ერთეული.

32. ხორნაული გ. ფშაური ლექსიკონი . – თბ. , 2000 . – 323 გვ.

ლექსიკონში შეტანილია ფშავისათვის დამახასიათებელი ძირითადი გეოგრაფიული და ადამიანთა სახელები, ასევე «რაზიკაშვილების» შემოქმედებაში დადასტურებული ფშაური სიტყვები.

33. ჯორჯანელი ვ. ქართულ სინონიმთა ვრცელი ლექსიკონი . – თბ. , 2003 . – 755 გვ.

ლექსიკონის მიზანია მე-20 საუკუნის მიწურულისათვის ქართულ საერთო-სახალხო ენაში მოქმედი და წერილობით დაფიქსირებული მსგავსი მნიშვნელობის სიტყვა-თქმების აკუმულაცია, მათი ზოგადსემანტიკური დახასიათება, სინონიმისა და პოლისემიის ერთმანეთთან შეჯერება. ნაშრომი შეიცავს 16800 სინონიმურ მწკრივს.

34. Batsisch (Zovatuschisch) - Deutsches Wörterbuch / [Zus-gest von Heinz Fdhnrich] . – Iena . , 2001 . – 104 s.

ჰაინც ფენრიხის მიერ შედგენილი ბაცბურ (წოვათუმური)-გერმანული ლექსიკონი.

35. ასათიანი რ. ეკონომიქსი : განმარტებითი ლექსიკონი . – თბ. , 2003.

რეც. : კახნიაშვილი ჯ. შესანიშნავი მონაპოვარი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა (3-4) . – გვ. 159 – 160.

### **ჟურნალისტიკა. პრესა. პუბლიცისტიკა**

36. ანანიაშვილი გ. კიდევაც დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი... თბ. , 2001 . – 360 გვ.

განალიზებულია საქართველო მესამე ათასწლეულის მიჯნაზე. კრებული მოიცავს 1994–2001 წლების მოვლენების ამსახველ საგაზეთო წერილებს, ინტერვიუებს, მოხსენებებს ქართულ და რუსულ ენებზე. თან ერთვის ავტორის ბიოგრაფია.

37. გაბუნია ლ. მიხეილ ჯავახიშვილის პუბლიცისტიკა . – თბ. , 2001 . – 80 გვ.

მ. ჯავახიშვილის მიერ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები ეხება საქართველოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, პიროვნების თავისუფლების საკითხს, სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებს და სხვ.

38. კაპანაძე გ. ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის საკითხები . – თბ. , 2002 . – 250 გვ.

კრებულში განხილულია ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის საკითხები. პირველად ქვეყნდება ნაშრომი «რუსეთის რევოლუციური მოძრაობა გაზეთ «დროებაში», ნიკო ნიკოლაძის უცნობი წერილები ჟურნალ «სოფრემენოსტში» და სხვ.

39. მამულაშვილი ვ. გაზეთი «ახალი ქართლი» . – თბ. , 2003 . – 24 გვ.



გორის გაზეთის «ახალი ქართლის» (1914-1915, რედაქტორ-გამომცემელი – დავით დავითის ძე კარიჭაშვილი) იდეოლოგიურ-პუბლიცისტური მიმართულება და ადგილი ქართულ პერიოდულ პრესაში.

40. მამულაშვილი ვ. გორის პირველი გაზეთი . – თბ. , 2003 . – 26 გვ.

გორის პირველი ბეჭდური გაზეთი «ქართლი» (1912 – 1913) და მისი წვლილი რეგიონში პროფესიული ჟურნალისტური აზროვნების ჩამოყალიბებაში.

41. მომავლის ქართველის გახსენება : მიხეილ კაკაბაძე / შემდგ. : მ. ქავთარაძე, ლ. კაკაბაძე, გ. კაკაბაძე, დ. კაკაბაძე; რედ. : პ. ნაცვლიშვილი . – თბ. , 2003 . – 417 გვ.

მ. კაკაბაძის ცხოვრება, მოღვაწეობა, ინტერვიუები, გამოსათხოვარი წერილები და ცნობილ ადამიანთა მოგონებები ჟურნალისტზე.

42. რაზმაძე ვ. რაც მითქვამს და დამიწერია . – თბ. , 2002 . – 629 გვ.

საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის პუბლიცისტური წერილები ეხება 1980–90 წლებში საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ავტორი თანმიმდევრობით მოგვითხრობს შევარდნაძის, პატიაშვილის, გუმბარიძის ხელისუფლებაზე, თვითმფრინავის გამტაცებლებსა და მათ სიკვდილით დასჯაზე, ეროვნულ მოძრაობაზე, საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მოღვაწეობასა და მის ტრაგიკულ ბედზე, სამხედრო საბჭოს საქმიანობაზე. წერილებს წამმღვარებული აქვს ვ. რაზმაძის ავტობიოგრაფია.

43. სამხარაძე გ. , ცქიტიშვილი ე. საქართველოს აფხაზი პატრიოტი . – თბ. , 2001 . – 16 გვ.

პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დავით ჩქოტუას ცხოვრება და მოღვაწეობა, პირადი ტრაგედიის გარემოებანი. ნაშრომს ერთვის გაზეთ «დროებაში» გამოქვეყნებული დ. ჩქოტუას წერილი განათლების შესახებ (1870, №28).

44. ტაბიძე ნ. საიდუმლო კუნძულის აღმოსაჩენად : ისტორია ჟურნალისტიკის ფაკულტეტისა. ფიქრები პუბლიცისტთა აღზრდაზე . – თბ. , 2001 . – 184 გვ.

პერიოდულ პრესაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მოსაზრებები ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაარსების, ფუნქციონირებისა და პუბლიცისტთა კადრების აღზრდის თაობაზე.

45. ტაბიძე ნ. ძიებანი . – თბ. , 2004 . – 103 გვ.

წერილები ჟურნალისტიკაზე, გაზეთზე «მთლიანი საქართველო», მხატვრული ნაწარმოებისათვის სათაურის მნიშვნელობაზე, ქართული ჟურნალისტიკის მკვლევარ ზაქარია ჭიჭინაძესა და სხვ.

46. ქიქოძე გ. პატარა ერის ხვედრი . – თბ. , 2003 . – 312 გვ.

კრებულში თავმოყრილია ქართველი საზოგადო მოღვაწისა და მწერლის გერონტი ქიქოძის მიერ ქართულ პრესაში 1905 – 1917 წლებში გამოქვეყნებული საქართველოს, რუსეთისა და ევროპის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების ამსახველი მასალები.

47. შარაძე გ. ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია = The history of the georgian emigrant journalism = История грузинской журналистики – თბ.

ტ. 1. 2001 . – 658 გვ. : [რევოლუციამდელი ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა (1873 – 1918) : გაზ. «დროშა», გაზ. «საქართველო», ჟურნ. «თავისუფალი საქართველო», «ქართული გაზეთი» ; გასაბჭოების შემდეგდროინდელი ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა (1921 – 1939) : ჟურნ. «თავისუფალი საქართველო», გაზ. «ახალი საქართველო», ჟურნ. «სამშობლოსათვის», ჟურნ. «ბრძოლა», ჟურნ. «სახალხო საქმე», გაზ. «თეთრი გიორგი», ჟურნ. «საქართველოს მოამბე»].

ტ. 2. 2001 . – 760 გვ. : [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. 1 1826 – 1939 : გაზ. «მამულიშვილი», გაზ. «დამოუკიდებელი საქართველო», ჟურნ. «ახალგაზრდა სოციალ-დემოკრატი», ჟურნ. «ახალი ივერია», გაზ. «საქართველო»].

ტ. 3. 2003 . – 608 გვ. : [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. 2 (1929 – 1932) : ჟურნ. «კავკასიონი» – რედაქტორები, მხატვარი, ავტორ-თანამშრომლები, ჟურნალის ჟანრობრივ-თემატიკური მიმოხილვა].

ტ. 4. 2003 . – 624 გვ. : [ქართული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. III : (1929 – 1937) : ჟურნ. «მხედარი» – რედაქტორები, ავტორ – თანამშრომლები, ჟურნალის ჟანრობრივ – თემატიკური მიმოხილვა].

ტ. 5. 2004 . – 599 გვ. [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. IV : (1929 – 1939) : ჟურნ. «სამშობლო», ჟურნ. «ადამიანოსანი», გაზ. «მუზარადი», ჟურნ. «ჯვარი ვაზისა», «საქართველოს გუშაგი»].

ტ. 6. 2004 . – 599 გვ. [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. [V] : (1929 – 1940) : გაზ. «ბრძოლის ხმა», გაზ. «კლდე»].

ტ. 7. 2005 . – 559 გვ. [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. [VI] : (1934 – 1939) : ჟურნ. «ორნატი», გაზ. «მომავალი», ჟურნ. «სოციალისტური აზრი», ჟურნ. «ეროვნული გაერთიანება»].

ტ. 8. 2005 . – 559 გვ. [ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა 1926 წლიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე : ნაწ. [VII] : (1937 – 1939) : ჟურნ. «ქართლოსი», ჟურნ. «კავკასია»].

48. ჯორჯაძე ა. ჩემი აზრები და ფიქრები . – თბ. , 2000 . – 174 გვ.

არჩილ ჯორჯაძის ღვაწლი XX საუკუნის დასაწყისის საქართველოს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. ილია ჭავჭავაძის დამოუკიდებულება ა. ჯორჯაძის პიროვნებისადმი. ა. ჯორჯაძის პუბლიცისტური წერილებიდან ამოკრეფილი შემეცნებითი ხასიათის აზრები და ბრძნული გამონათქვამები.

49. ახალაია თ. მერაბ კოსტავას პუბლიცისტური სტრატეგია // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 3 – 8.

ეროვნული მოღვაწის პუბლიცისტური ნაწერების განხილვა.

50. ბაძაღვა ე. კალისტრატე სალიას პუბლიცისტიკა // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 3 – 17.

მეცნიერის, ისტორიკოსისა და ლიტერატორის კ. სალიას პუბლიცისტური მოღვაწეობა მის მიერ დაარსებულ ჟურნალში «ბედი ქართლისა».

51. ბაძაღვა ე. ჟურნალი «ბედი ქართლისა» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 143 – 153.

პარიზში გამომავალი ჟურნალის ეროვნული სულისკვეთება და სპეციფიკა. მიხაკო წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, კალისტრატე და ნინო სალიების ღვაწლი ჟურნალის ჩამოყალიბებაში.

52. გაბისონია ი. გზა დავულოცოთ! : («აფხაზეთის მართლმსაჯულების მაცნეს» პირველი ნომრის გამოსვლის გამო) // სამართალი . – 2001 . – №5 . – გვ. 96 – 97.

აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს მიერ დაარსებული ჟურნალის 2000 წლის პირველი ნომრის მიმოხილვა.

53. გერსამია მ. თანამედროვე ჟურნალისტის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 13 – 21.

სოციოლოგიური კვლევის შედეგები საქართველოში მოქმედ ჟურნალისტთა საშუალო ასაკის, დასაქმების სფეროს, სქესის, მუშაობის სტაჟისა და სხვ. შესახებ.

54. გერსამია მ. პუბლიცისტური მოდულაციის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 9 – 16.

პუბლიცისტური მოდულაცია, როგორც ჟურნალისტური ოსტატობის გამოვლინების ერთ-ერთი საშუალება.

55. გერსამია მ. პუბლიცისტური ნაწარმოების დასაწყისის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 3 – 26.

ჟურნალისტური ხერხების გამოყენება სტატიის წერის დროს.

56. გერსამია მ. სვლა პირველი, როცა «თეთრები» მუდამ იგებენ... // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 18 – 32.

ტექსტზე მუშაობის ხერხები ქართულ პუბლიცისტიკაში.

57. გოგოლაძე თ. სატრფიალო ლირიკა XIX საუკუნის ქართული პრესის ფურცლებზე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 33 – 44.

58. გოგოლაძე თ. , ჩხიკვაძე მ. ჟურნალისტური ეტიკის ისტორიიდან // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 87 – 91.

ილია ჭავჭავაძისა და ანტონ ფურცელაძის აღშფოთება სოფრომ მაგლობლიშვილის მიერ პიროვნების შეურაცხყოფელი, დაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნების გამო ფელეტონში «რამე რუმე» (ივერია, 1887, №92). გაზეთის ამავე წლის №134-ში დაბეჭდილი მეთაური წერილი რედაქციის ბოდიშით.

59. გოგოლიშვილი ო. , ხაჯიშვილი გ. არჩილ ჯორჯაძის შეხედულებები ევროპული სოციალიზმის შესახებ // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 117 – 123. რეზ. რუს. ენაზე.

განხილულია გაზეთ «ცნობის ფურცელში» გამოქვეყნებული სტატიები : «ჩვენი საჭირობოროტო საკითხები» (1901, 19 იანვარი), «მოკამათე დასთა საერთო მოქმედების ნიადაგი ევროპაში» (1901, 27 მარტი) და ნაშრომი «სამშობლო და მამულიშვილობა», თბ. , 1990.

60. დარსაველიძე მ. პრესა და არჩევნები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 45 – 53.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის ასახვა პრესაში. არასახარბიელო მდგომარეობა ქართულ სინამდვილეში.

61. დარსაველიძე მ. ჟურნალისტური ეთიკა // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 22 – 33.

პროფესიული ეთიკის საკითხები საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონში “პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების შესახებ”.

62. თადუმაძე მ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ტენდენციები კონსტანტინე კაპანელის პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 54 – 59.

კ. კაპანელი (1889 – 1952 წწ.) – ლიტერატურის, ხელოვნებისა და ესთეტიკის მკვლევარი, პუბლიცისტი. საგაზეთო წერილების მიმოხილვა.

63. თხილავა ე. ვასილ წერეთელი და გაზეთი «იმერეთი» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 104 – 111.

ქუთაისის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთ «იმერეთის» (1912 – 1915 წწ.) დამაარსებლის ვ. წერეთლის მიერ «უროსა» და «ისრის» ფსევდონიმით გამოქვეყნებული პუბლიცისტიკური წერილების მიმოხილვა.

64. კოპაძე ხ. ეროვნული საკითხი სანდრო შანშიაშვილის პუბლიცისტიკაში : (გაზეთ «საქართველოს» მიხედვით) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 112 – 117.

გაზეთ «საქართველოს» (1915-1921 წწ.) რედაქტორის ს. შანშიაშვილის ორი სტატიის – «ჩემი მისალმება» (1917, 22 მარტი) და «ისმინე ერო» (1917, 17 მარტი) მიმოხილვა.

65. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ. საინფორმაციო საფრთხისა და უსაფრთხოების თაობაზე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 60 – 63.

საინფორმაციო გარემოს მოწესრიგებისა და საინფორმაციო სისტემის ფორმირება ქართულ მასმედიაში.

66. კუტუბიძე-ზუბაშვილი ლ. ქართული მასმედიის «გარდატეხის ასაკი» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 34 – 39.

«აზრის თავისუფლად გამოხატვის» პერიოდში მყოფი მასმედიის მიერ ქვეყნის უკიდურესად გამწვავებული ეკონომიკური პრობლემების, ეთნოკონფლიქტების, გარე სამყაროს ზეწოლისა და სხვა ფაქტორების ამსახველი პუბლიკაციების მიმოხილვა. 2000-2001 წლები. გაზეთები «ალია», «რეზონანსი» და სხვა.

67. მამულაშვილი ვ. გორში გაზეთის გამოცემის წანამძღვრები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 38 – 48.

პირველი ხელნაწერი ჟურნალები გორში და სოფრომ მგალობლიშვილის პუბლიცისტურ-ჟურნალისტური მოღვაწეობა.

68. მამულაშვილი ვ. გორის პრესის პუბლიცისტიკა : (1912–1914 წწ.) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 31 – 43.

გაზეთების \_ «ქართლი» და «ახალი ქართლი» სტატიების მიმოხილვა.

69. მონიავა მ. სასულიერო ჟურნალი «ახალი სიტყვა» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 118 – 127.

დეკანოზ ქრისტეფორე ციციშვილის მიერ 1918 წ. დაარსებული ჟურნალის მიზანი: ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რწმენის გავრცელება, დამკვიდრება და ძლიერი დამოუკიდებელი მართლმადიდებლური საქართველოს სახელმწიფოს შექმნა.

70. მურადაშვილი ხ. აღზრდა-განათლების საკითხები ნიკო ლომოურის პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 78 – 87.

გაზეთებში \_ «ივერია» და «დროება» გამოქვეყნებული სტატიების განხილვა.

71. მურადაშვილი ხ. თეატრის საკითხები ნიკო ლომოურის პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 53 – 58.

გორის თეატრალური ცხოვრება მწერლის საგაზეთო წერილებში («ივერია», «დროება»).

72. მურადაშვილი ხ. ნიკო ლომოური \_ სარწმუნოების განმტკიცებისათვის მებრძოლი პუბლიცისტი // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 128 – 135.

მწერლის მიერ XIX ს. პრესაში გამოქვეყნებული წერილების მიმოხილვა.

73. მურადაშვილი ხ. ნიკო ლომოურის პუბლიცისტიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტენდენციები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 49 – 56.

«ივერიასა» და «დროებაში» გამოქვეყნებული სტატიების მიხედვით.

74. ოსეფაშვილი დ. ინფორმაციული ჟანრების ურთიერთმიმართებანი თანამედროვე გერმანულ და ქართულ პრესაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 43 – 49.  
ახალი ამბების მიწოდების ფორმების, ხერხების, ობიექტური ინფორმირების შესაძლებლობის საერთო და განმასხვავებელი თავისებურებანი ქართულ და გერმანულ პრესაში.

75. ტაბიძე ნ. იდეათა განფენა ჟურნალისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 75 – 79.

ი. ჭავჭავაძის «საქართველოს მოამბის» (1863 წ. 12 ნოემბერი) მაგალითზე.

76. ტაბიძე ნ. პუბლიცისტიკის ჟანრთა კლასიფიკაცია // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 92 – 98.

77. ტაბიძე ნ. სათაური გაზეთში : (ქუდი, რუბრიკა) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 50 – 65.

საზედაო სათაურისა და ქუდის ოთხი სახეობის (მიმსალმებელი, მომწოდებელი, ინფორმაციული, განმაზოგადებელი) დახასიათება, რუბრიკათა კლასიფიკაცია (მუდმივი, დროებითი, სპეციალური) სხვადასხვა პერიოდის ქართული საგაზეთო პუბლიკაციების მიხედვით.

78. ტორაძე მ. გაზეთი «დრონი» საქართველოს კონსტიტუციის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 66 – 72.

ქვეყნის ძირითად კანონზე მუშაობის პერიოდში (1995 წ.) გაზეთ «დრონი» გამოქვეყნებული მასალების თემატური ანალიზი.

79. ტორაძე მ. ეროვნული კონგრესის არჩევნები და ქართული პრესა // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 81 – 87.

მასმედიის როლი დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებაში.

80. ფერაძე ლ. ეროვნული კულტურის საკითხები ივანე მაჩაბლის პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 86 – 91.

გაზეთ «დროებაში» გამოქვეყნებული სტატიების მიმოხილვა.

81. ფერაძე ლ. ივანე მაჩაბლის პუბლიცისტიკის ერთი ასპექტი : (სოციოლოგიური შეხედულებები) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 94 – 100. რეზ. რუს. ენაზე.

საგაზეთო წერილებსა («დროება», «ივერია») და ბანკის სხდომებზე წარმოთქმულ სიტყვებში გამოვლენილი იდეოლოგიური ხედვა.

82. შამილიშვილი მ. «ბათუმის გაზეთი» ჟურნალისტური ეტიკის შესახებ // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 92 – 98.

გაზეთი გამოდიოდა 1911–1914 წლებში.

83. შამილიშვილი მ. ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა ჰაიდარ აბაშიძის პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 103 – 113.

აჭარის საქართველოსგან განუყოფლობის, ქრისტიან და მაჰმადიან მოძმეთა სულიერი ერთობის აღდგენის, ეროვნული გამოფხიზლების თემა პუბლიცისტის ნაშრომში «როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ» და სხვა სტატიებში.

84. შამილიშვილი მ. ქართული სოციალ-დემოკრატია – ბოლშევიზმის ალტერნატივა თუ სახეცვლილება? : (წინათქმა სამეცნიერო ნარკვევისა. გაზეთი «ერთობა») // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 116 – 129.

განხილულია გაზეთი «ერთობა» (1917–1921 წწ.) – სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო.

85. ჩხიკვაძე მ. «ცისკარ» – «საქართველოს მოამბის» პოლემიკა და ანტონ ფურცელაძე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 130 – 138.

პოლემიკა XIX საუკუნის ორ პერიოდულ ორგანოს შორის, რომელიც მოჰყვა 1860 წელს ჟურნალ «ცისკარში» გამოქვეყნებულ ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ წერილს “ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის მიერ კაზლოვის «შემოღობის» თარგმანზედა».

86. წერეთელი მ. იდეური დაპირისპირება XIX საუკუნის 80–90-იანი წლების ქართულ პუბლიცისტიკაში // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 155 – 161.

ხალხოსანთა და მარქსისტთა ნიჰილისტური, უარყოფითი დამოკიდებულება სამოციანელთა იდეურ-მხატვრული მრწამსისადმი: გიორგი მაიაშვილი (ზდანოვიჩი), დავით კეზელი, ალექსანდრე წულუკიძე. ესტატე ბოსლეველის (მჭედლიძე) და ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილები.

87. ჭუმბურიძე ი. გაზეთის პირველი გვერდი : (ციკლიდან : “თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები”) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 123 – 132.

გაზეთების \_ «ალია», «საქართველოს რესპუბლიკა», «დილის გაზეთი» \_ მაგალითზე.

88. ჭუმბურიძე ი. ინტერვიუ ორ ჟურნალში : («ომეგა» და «სარკე») : ციკლიდან «თანამედროვე ქართული პრესის ძირითადი ტენდენციები» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 147 – 156.

89. ჭუმბურიძე ი. ჟურნალისტიკის თეორიისა და პუბლიცისტური ოსტატობის ზოგიერთი საკითხი : ჟურნალისტიკის პრინციპები // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 128 – 133.

ქვეთავები : ინტერვიუ რთული ჟანრია, დეტალი – «პუბლიცისტიკის მარილი», მოკლედ თქმის ხელოვნება.

90. ჯანიკაშვილი ა. ნიკო ნიკოლაძის «შინაური საქმის» პრობლემატიკა : (ჟურნალი «მოამბე», 1894 – 1896 წწ.) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 157 – 168.

საშინაო და საგარეო მდგომარეობის ამსახველი პუბლიცისტური სტატიების განხილვა.

91. ჯანიკაშვილი ა. «საკვირაო საუბრების» პრობლემატიკის ერთი ასპექტთაგანი // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 4 . – გვ. 133 – 142.

ნიკო ნიკოლაძის პუბლიცისტური მოღვაწეობა და მისი ნააზრევო ჟურნალისტიკის შესახებ.

92. ჯვებავა ს. პანკისის ხეობის თემა ჟურნალ «თაიმის» ფურცლებზე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 134 – 135.

განხილულია ამერიკულ ჟურნალში გამოქვეყნებული პაულ ქუინ-ჯადჯის და ტონი კერონის პუბლიკაციები.

93. ჯიქია ნ. პაოლო იაშვილი და «ოქროს ვერძი» // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 136 – 142.

1913 წელს, ქუთაისში, პოეტის რედაქტორობით გამოშვებული ჟურნალის მიზანი და ამოცანები, გამოცემასთან დაკავშირებული პერიპეტიები.

## მუზეუმები

94. ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი = Zugdidi : Historical Muzeum / შემდგ. : გ. კალანდია, ლ. ბერაია; რედ. : ი. ქარაია. – თბ. , 2002 . – 61 გვ.

დადიანების სასახლეში განთავსებული ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის გამოფენის კატალოგი. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

95. იაკობაშვილი ი. საეკლესიო მუზეუმი საქართველოში : დაფუძნება, მოღვაწეობა, გაუქმება // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - №5 . – გვ. 72 – 84. რეზ. ინგლ. ენაზე.

96. სამუზეუმო საქმის პრობლემები საქართველოში // სპექტრი . – 2005 . – გვ. 109 – 112.

საქართველოში ამჟამად არსებული 250-ზე მეტი სხვადასხვა პროფილის მუზეუმის ძირითად პრობლემათა ჩამონათვალი.

97. ცაგარეიშვილი თ. აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია და საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი : (მეცნიერის არქივიდან) // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 162 – 167.



ისტორიკოს გ. ჩიტაიას პირად არქივში დაცული სტალინირის ებრაელთა ყოფისა და კულტურისადმი მიძღვნილი გამოფენის საზეიმო გახსნაზე წაკითხული მოხსენების ტექსტი, რომელიც გამოფენის შინაარს გვაცნობს.

98. წერილები აკაკი ჭანტურიას // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 285 – 321.

ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, ყოფილი «სამეგრელოს მუზეუმის» პირველი დირექტორის, აკაკი ივანეს ძე ჭანტურიას (1881 – 1949) არქივში დაცული მასალების პუბლიკაცია. კორესპონდენციების მუზეუმის სხვადასხვა პრობლემებზე, ანაკლიის დიხა-გუძუბას გათხრებსა და სხვა / მოამზადა არიანე ჭანტურიამ.

99. წიწუაშვილი შ. საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (1933 – 1951 წწ.) // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 248 – 271. რეზ. ინგლ. ენაზე.

დაარსება, ფონდები, საგამოფენო, სამეცნიერო-კვლევითი და მოძიებითი სამუშაოები. 1940 წ. მოწყობილი ებრაელი თვითნასწავლი მხატვრის შალომ კობოშვილის ფერწერულ ნამუშევართა პერსონალური გამოფენა, «საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის» შრომების სამი ტომის მიმოხილვა და სხვა.

100. წოწელია მ. სასანური თასის უცნობი ფრაგმენტი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 227 – 236. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებაში დაცული გამოუქვეყნებელი ფოტო, რომელზეც წარმოდგენილია თასის ფრაგმენტი სასანური ირანის ხელოვნებაში გავრცელებული სიუჟეტით – მეფის ნადირობის სცენით. ფოტოს ისტორია.

### ხელნაწერები

101. ადიშის ოთხთავი 897 წლისაა / ტექსტი გამოსაც. მოამზადეს : ე. გიუნაშვილმა, დ. თვალთვაძემ, მ. მაჩხანელმა; ზ. სარჯველაძის საერთო რედ. . – თბ . , 2003 . – 463 გვ.

ადიშის ოთხთავის აკადემიური ტექსტი დ. თვალთვაძის, ს. სარჯველაძისა და ზ. სარჯველაძის განმარტებებით.

102. ალექსიძე ზ. სინას მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ხელნაწერთა ახალი ქართული კოლექციის Sin-50-ის ანდერძ-მინაწერები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 122 – 131. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

ვინმე არშუშას, ყოფილი იოვანეს მიერ სინას მთისათვის შეწირული ხელნაწერები («იოანე ზედაზნელისა და მოწაფეთა მისთა საქმენი», «მოქცევაი ქართლისაი» და «ნინოს ცხოვრება»), რომლებიც თარიღდება IX-X სს-ით. ვარაუდი X ს-ში წმიდა ნინოს ცხოვრების შემცველი რამდენიმე ერთმანეთისაგან განსხვავებული რედაქციის არსებობის შესახებ.

103. ალექსიძე ზ. უძველესი ცნობა ბაგრატიონთა დინასტიის შესახებ // ანამკი : ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი . – თბ. , 2002 . – გვ. 23 – 35.

სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში სამლოცველოს ქვეშ მოთავსებულ სათავსში აღმოჩენილი ქართული ხელნაწერები, რომელთა შორის ერთ-ერთ კრებულში გაერთიანებულია სამი თხზულება: «მოქცევაი ქართლისაი», «საქმენი იოვანე ზედაზნელისა და მის მოწაფეთა და «აბიბოს ნეკრესელის მარტვილობა». კრებულის ერთ-ერთ ჩანართში მოთხრობილია ადარნასე მამფალის შესახებ.

104. გველესიანი ნ. A-65 ხელნაწერისა და მის თანაგვარ კრებულთა ურთიერთმიმართებისათვის // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 59 – 72. რეზ. ინგლ. ენაზე.

XII საუკუნის საღვთისმეტყველო კრებული, რომელიც ვახტანგ VI-ის მიერ იქნა რესტრავრირებული, მისივე ანდერძ-მინაწერებით, «სხოლიოებითა» და «შეისწავლენით». მისი S-1463 და A-205 მსგავს კრებულებთან შედარებითი ანალიზი.

105. დოლიძე დ. ძველი ქართული სინოდიკონი // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 17 – 35. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული, ბერძნულიდან 1172 წელს თარგმნილი სინოდიკონის, იგივე «მეგლისწერაი სარწმუნოებისაის» (H-1349) ძველი ქართული რედაქციის ეკვონეტიკურ ნიშანთა სისტემის ანალიზი.

106. კლდიაშვილი დ. სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატთანე : (შექმნის ისტორია) // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4 – 5 . – გვ. 191 – 214. რეზ. ინგლ. ენაზე.

XV საუკუნეში შედგენილი მატთანე, რომლის სრული სახელწოდებაა : «მოსახსენებელი და მატთანე პატიოსნისა წმინდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებულისა სინისა». ხელნაწერი ეკუთვნოდა სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ბიბლიოთეკას.

107. მაჭავარიანი ე. შუა საუკუნეების ქართულ ხელნაწერებში დასურათებული ძველი აღთქმის კომპოზიციები და დავითის ცხოვრება // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიის მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 77 – 91. რეზ. ინგლ. ენაზე.

ჩვენამდე მოღწეულ XII-XVII სს-ის ფსალმუნთა ხელნაწერებსა და სახარებათა ტექსტებში ჩართული ებრაელთა წინასწარმეტყველური გამონათქვამები, ისტორიული ეპიზოდები, იუდეველთა მეფე დავითის ცხოვრების ამსახველი მინიატურები.

108. სულავა ნ. ე.წ. თამარ მეფის იამბიკოთა შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2002 . – № 1 – 4 . – გვ. 55 – 60. რეზ. რუს. ენაზე.

გელათურ ხელნაწერში (K-564) მოთავსებული ოთხი იამბიკოს ტექსტის ლექსიკურ-ტერმინოლოგიური, იდეური, სტილისტური და მხატვრული ანალიზი.

109. სურგულაძე მ. ფავნელის დაწერილის თარიღისათვის // ანამკი : ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი . – თბ. , 2002 . – გვ. 193 – 203.

ფავნელის ხელნაწერში შემავალი ერთ-ერთი ისტორიული საბუთის შედგენილობასა და თარიღთან დაკავშირებული განსხვავებული დასკვნები.

110. ქაჯაია ნ. დიალოგი «დიდ შესვლაში» // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2002 . – №1 – 4 . – გვ. 61 – 69. რეზ. რუს. ენაზე.

იოანე ოქროპირის ჟამისწირვის სამ ხელნაწერში : A-194, გრაფი 5 და გელათის 657 დაცული დიალოგის ფორმა, შინაარსი და შესრულების წესი.

111. ქაჯაია ნ. ხელნაწერი გრაფი 5-ის ხელახალი დათარიღების შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2004-2005 . – გვ. 177 – 183. რეზ. რუს. ენაზე.

ავსტრიაში გრაფის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული იოანე ოქროპირის ჟამისწირვის შემცველი ნუსხა, რომელიც მ. თარხნიშვილმა 1950 წ-ს გამოსცა და X-XI სს-ით დაათარიღა. აღნიშნული ხელნაწერის XIII-XIV სს-ით დათარიღება.

112. ქურციკიძე ც. A 92 ხელნაწერის ორი ანდერძ-მინაწერის შინაარსის გაგებისათვის : (რატომ არა გვაქვს ქართულ ენაზე გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა თარგმანები ეფთვიძე ათონელამდე) // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2002 . – №1 – 4 . – გვ. 79 – 86. რეზ. რუს. ენაზე.

113. შურღია თ. «ელია» ქართულ ისტორიულ-ლიტერატურულ წყაროებში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2002 . – №1 – 4 . – გვ. 70 – 78. რეზ. რუს. ენაზე.

ამონიოსის თხზულების ქართული ვერსიის ორ ხელნაწერში – 864-ის სინურ და X ს-ის ათონურ მრავალთავებში თეოდორიტე კვირიელისა და ეფრემ მცირის ძველ ქართულ თარგმანებში აღნიშნული გეოგრაფიული ტერმინის დაფიქსირება.

114. ჯოჯუა თ. 1013 წლის ოთხთავის (ქუთ. 363-ის) გადაწერის ადგილისათვის // საქართველოს სიძველენი . – 2002 . – №2 . – გვ. 50 – 77. რეზ. ინგლ. ენაზე.

ოთხთავის გადაწერის ადგილად თბილისის საამიროს საღოდებლის (XII ს-იდან მეტეხის) ღვთისმშობლის ლავრის მიჩნევა.

## ფილოსოფია. ფსიქოლოგია. ესთეტიკა

115. ზლაგიძე კ. სავლე წერეთელი ახალ და თანამედროვე ფილოსოფიაში სკეპტიციზმის, აგნოსტიციზმისა და მათი თეორიული წანამდღვრების შესახებ. – თბ. , 2001 . – 122 გვ.

116. გიორგაძე ე. კონსტანტინე კაპანელი . – თბ. , 2003 . – 22 გვ.

ფილოსოფოსის, ლიტერატორისა და ორატორის კ. კაპანელის ცხოვრება და მოღვაწეობა.

117. მახარაძე მ. რენესანსი, ჰუმანიზმი და XI – XII საუკუნეების საქართველო . – თბ. , 2003 . – 120 გვ.

რენესანსისა და ჰუმანიზმის ურთიერთმიმართება და მსოფლმხედველობრივი საფუძვლები, აღმოსავლურ რენესანსსა და ქართულ რენესანსზე არსებული თვალსაზრისების კრიტიკული ანალიზი, ქართული რენესანსის რაობა. შ. ნუცუბიძის აღმოსავლური რენესანსის თეორია, რომლის ბირთვს ქართული რენესანსის თეორია წარმოადგენს.

118. შოთა ვლადიმერის ძე მისაბიშვილი – 80 / შემდგ. : გ. შარია; რედ. : ნ. ლემონჯავა, ო. მიქიაშვილი . – თბ. , 2002 . – 176 გვ.

აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონალური აკადემიის პრეზიდენტის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ შ. მისაბიშვილის ცხოვრება და სამეცნიერო საქმიანობა, დაბადებიდან 80 წლისთავის გამო.

119. ჯავახიშვილი თ. მოგონებები . – თბ. , 2003 . – 131 გვ.

ფილოსოფიის ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და მისი არსებობის ადრეული პერიოდი, პირველი თანამშრომლების სამეცნიერო მოღვაწეობა; ავტობიოგრაფიული ცნობები, მოგონებები ბავშვობაზე, ოჯახსა და უახლოეს ადამიანებზე.

120. ამბოკაძე მ. , თომაშვილი ნ. ფილოსოფოსთა მეოთხე გაერთიანებული კონფერენცია // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №2 . – გვ. 158 – 161.

აკადემიკოს გურამ თევზაძის დაბადებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მიმოხილვა.

121. ანგია ბოჭორიშვილი : (ბიოგრაფიული ცნობები) // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 5 – 6.

აკადემიკოსი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1902 – 1982).

122. არჩილ გონაშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 216.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი. ნეკროლოგი.

123. ბალანჩივაძე რ. , ბოჭორიშვილი ა. არაცნობიერის ადგილის შესახებ დ. უზნაძის «განწყობის თეორიაში» // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 22 – 28. რეზ. ინგლ. ენაზე.

124. ბარათელი ბ. დადებითი და უარყოფითი მეთოდები არეოპაგიტულ მოძღვრებაში და მათი ესთეტიკური ასპექტი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 67 – 73. რეზ. რუს. ენაზე.

არეოპაგიტული კორპუსის პრობლემების შესწავლა საქართველოში, არეოპაგიტიკის კვლევა ესთეტიკის მეცნიერების პოზიციებიდან.

125. ბარათელი ე. ვაჟა გოგობერიშვილის ხსოვნას : მაღლიდან გარდმოვლენილი სიბრძნე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2000 . - №1 - 2 . – გვ. 171 – 174.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი. პიროვნული და შემოქმედებითი პორტრეტი.

126. ბაქრაძე ა. ედ. ჰუსერლის ფენომენოლოგიისა და ფილოსოფიური ანთროპოლოგიის მიმართების პრობლემატიკა ა. ბოჭორიშვილის შემოქმედებაში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 51 – 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

ედმუნდ ჰუსერლი (1859-1938) – გერმანელი ფილოსოფოსი, ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგიის ფუძემდებელი.

127. ბეზარაშვილი ქ. «გარეშე სიბრძნისადმი» დამოკიდებულებისათვის ეფრემ მცირის კოლოფონებში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2001. - №1 – 4 . – გვ. 134 – 157. რეზ. რუს. ენაზე.

გარეშე და საღვთო სიბრძნის ურთიერთობის, გარეშე სიბრძნისადმი სქოლასტიკური დამოკიდებულების პრინციპები ეფრემისეულ თარგმანებში.

128. ბეზარაშვილი ქ. იოანე პეტრიწის ე.წ. ბოლოსიტყვაობის ზოგიერთი ადგილის გაგებისათვის : «ულუმპიანთა ძლევანი» // Metavoia. – თბ. , 2001 . – გვ. 48 – 63. რეზ. ინგლ. ენაზე.

ე.წ. ბოლოსიტყვაობის პირველი ნაწილი წარმოადგენს ფსალმუნთა განმარტების პეტრიწისეულ წინასიტყვას.

129. ბერია ნ. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონის დარღვევის ფაქტები ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 125 – 132. რეზ. რუს. ენაზე.

პეტრე იბერიელი – ფსევდო-დიონისე არეოპაგელი.

130. ბოჭორიშვილი ა. კანტის ესთეტიკა : გადმოცემა, ინტერპრეტაცია, კრიტიკა . – თბ. , 1967 . – 373 გვ.

რეც. : კაკაბაძე ზ. საინტერესო გამოკვლევა კანტის ესთეტიკაზე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 84 – 85.

რეც. : ჭავჭავაძე ნ. მონოგრაფია კანტის ესთეტიკაზე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 76 – 83.

131. ბრეგაძე ა. ანგია ბოჭორიშვილი – ფილოსოფიური ანთროპოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1. – გვ. 41 – 50. რეზ. ინგლ. ენაზე.

132. თამაზ ბუაჩიძე / თევზაძე გ. , კოდუა ე. , მჭედლიშვილი ლ. , ბეჟანიშვილი მ. // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 221 – 224.

ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი. ბიოგრაფიისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ძირითადი თარიღები. ნეკროლოგი.

133. თევზაძე გ. აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი ადეკვატური შემეცნების პირობების შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 29 – 40. რეზ. ინგლ. ენაზე.

134. თევზაძე გ. XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია . – თბ. , 2002. - 608 გვ.

რეც. : შუმანაშვილი გერონტი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №2 . – გვ. 150 – 157.

135. თენგიზ ნანობაშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 215.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის კათედრის პროფესორი. ნეკროლოგი.

136. კორძაია ჯ. ვახტანგ ერქომაიშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - № 1\_2 . – გვ. 218 – 220.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი. ცხოვრება და მოღვაწეობა. გამოსათხოვარი წერილი.

137. ლევან (კარლო) ესაიაშვილი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 217.

ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი. ნეკროლოგი.

138. მაღრაძე მ. ა. ბოჭორიშვილი განწყობის, როგორც სინამდვილის განსაკუთრებული სფეროს შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 17 – 21. რეზ. ინგლ. ენაზე.

139. მშვენიერაძე ნ. ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემა დიმიტრი უზნაძის ფილოსოფიაში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 8 – 10. რეზ. რუს. ენაზე.

140. მშვენიერაძე ნ. დიმიტრი უზნაძე ადამიანის ცხოვრების საზრისის პრობლემის შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2000 . - №1-2 . – გვ. 37 – 41. რეზ. ინგლ. ენაზე.

1909–1921 წლებში ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული დ. უზნაძის წერილები სხვადასხვა ფილოსოფიურ თემაზე : «ომის ფილოსოფია», «ცხოვრების რაობა» და სხვა.

141. მჭედლიძე გ. აუხდენელი ნატვრა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 96 – 98.

მოგონება აკადემიკოს ანგია ბოჭორიშვილზე.

142. მჭედლიძე მ. ანამნესისის პლატონური თეორია და «აღსენების» ცნება იოანე პეტრიწის «განმარტებაში» // Metavoia . – თბ. , 2001 . – გვ. 123 – 130. რეზ. ფრანგ. ენაზე.

ანამნესისის თეორიის არსისა და მნიშვნელობის ასახვა იოანე პეტრიწის მიერ პროკლეს «თეოლოგიის ელემენტებისათვის» დაწერილ კომენტარებში. გონებისა და სულის მიმართების პეტრიწისეული განმარტების ანალიზი.

143. ნადირაშვილი შ. ანგია ბოჭორიშვილი – დიდი ქართველი ფსიქოლოგი და ფილოსოფოსი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 7 – 16. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეცნიერის როლი ქართული ფსიქოლოგიის განვითარების საქმეში.

144. რაფავა მ. ისევ პროკლეს «კავშირნი ღვთისმეტყველებითნისა» და პეტრიწის «განმარტებების» ბოლოსიტყვაობის შესახებ // Metavoia . – თბ. , 2001 . – გვ. 151 – 162. რეზ. ფრანგ. ენაზე.

პროკლეს «კავშირნი ღვთისმეტყველებითნის» განმარტებებზე დართული ბოლოსიტყვაობის კავშირის უარყოფა პროკლეს შრომასა და მის პეტრიწისეულ განმარტებებთან.

145. ქართული ეპისტოლური წყაროების კორპუსი. ტ. 6-7 : იონა ხელაშვილის ეპისტოლური არქივი (1809 – 1835 წწ.) / შეადგ. , გამოსაც. მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნა დაურთო გ. დედაბრიშვილმა, რედ. : მ. ბერძნიშვილი . – თბ. , 2000. - 680 გვ.

რეც. : ზაქარაძე ლ. XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიურ-საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №2 . – გვ. 145 – 147.

146. შერვაშიძე გ. საინტერესო ფურცლები ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიიდან . – ბათუმი , 1998. - 207 გვ

რეც. : ზაქარაძე ლ. ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტის თაობაზე XIX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2001 . - №1-2 . – გვ. 174 – 177.

147. ცერცვაძე ლ. მანანა მეგრელიძის ხსოვნას // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2000 . - №1-2 . – გვ. 175 – 176.

ფილოსოფიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი. გამოსათხოვარი წერილი.

148. წერეთელი ი. ანგია ბოჭორიშვილის 100 წლისთავი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №2 . – გვ. 162 – 164.

საიუბილეო-სამეცნიერო კონფერენციის მიმოხილვა.

149. ჭელიძე მ. მუდამ ახლის ძიებაში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2002 . - №1 . – გვ. 90 – 91.

ანგია ბოჭორიშვილის აზროვნების სტილის თავისებურება.

150. ჯალაღონია დ. ქართული სულის ორგანოტროპული თეორია // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ფილოსოფიის სერია . – 2000 . - №1-2 . – გვ. 146 – 151.  
რეზ. ინგლ. ენაზე.

კონსტანტინე კაპანელის ქართული ხასიათისადმი მიძღვნილი ნაშრომების მიმოხილვა.

## რელიგია

151. აბრამიშვილი ვ. საქართველოს ეკლესიის მამული . – გორი. , 2004 . – 32 გვ.

უძველესი ისტორიული საბუთები, სიგელ-გუჯრები და ფოლიანტები, რომლებმაც შემოინახეს ცნობები ქართული ეკლესიების ქონების შესახებ.

152. ბუბულაშვილი ე. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეკლესიის საკითხები . – თბ. , 2003 . – 116 გვ.

ქართული ეკლესიის საკითხები ილია მართლის ნააზრევში (უცნობი საარქივო მასალების მიხედვით).

153. გაბრიელ მცირე. ღვთისსულიერნი თხრობანი სულთა ღვთისმოყუარეთა ფრიად სარგებელნი / გამოსაცემად მოამზადა ზ. სხირტლაძემ . – თბ. , 2002 . – 87 გვ.

წიგნში სრული სახით პირველად ქვეყნდება გაბრიელ მცირის «ღვთისსულიერნი თხრობანი», რომელიც საყურადღებოა როგორც გარეჯის მრავალმთის სამონასტრო ცხოვრების, ისე საქართველოში საბერძნეთისაგან მოძრაობის ისტორიისათვის.



154. გრიგოლი ნოსელი. წმიდისა სამებისათვის რომელსა შინა მოიწუნებს აბრაჰამს / გამოსაც. მოამზადეს : თ. დოლიძემ და ე. კოჭლამაზაშვილმა; რედ. : ნ. ეფრემიძე. – თბ. , 2004 . – 24 გვ.

წმიდა გრიგოლ ნოსელის საკითხავი – «ძისა და სულიწმიდის ღმრთეების (ღვთაებობის) შესახებ»\_ დოგმატიკური პოლემიკისა და სიტყვაკაზმული მქადაგებლობის ძეგლია, რომლის ქართული თარგმანი მიეწერება გიორგი მთაწმინდელს (XI ს.). ტექსტი ქვეყნდება პირველად.

155. გუგუშვილი გ. მცხეთა-თბილისის ეპარქია . – თბ. , 2006 . – 48 გვ.

საქართველოს ქრისტიანული ეკლესიისა და მცხეთა-თბილისის ეპარქიის ისტორია. ეკლესიებში მიმდინარე კულტურულ-საგანმანათლებლო და საეკლესიო საქმიანობა. ნაშრომი ეძღვნება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II შიოლაშვილ-ღუდუშაურის მოღვაწეობას.

156. დიასამიძე ბ. ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I–X საუკუნეები) . – ბათუმი . , 2001 . – 265 გვ.

ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორია, კერძოდ, ქრისტიანობის ქადაგება-გავრცელების გზები, პირველ მქადაგებელთა და განმანათლებელთა მოღვაწეობა, საეკლესიო ცენტრების შექმნა, მათი ადგილი და როლი ეგრისის სახელმწიფოს გაძლიერება-განმტკიცებასა და საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნაში.

157. ედილაშვილი ც. გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებები . – თბ. , 2001 . – 39 გვ.

გაბრიელ ეპისკოპოსის (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე) ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი ნაშრომების : «ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებისა» და «ქადაგებების» განხილვა.

158. ვარდოსანიძე ს. საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია 1917–1952 წლებში . – თბ. , 2001 . – 323 გვ.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით გაშუქებულია საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორია: ავტოკეფალიის აღდგენა, ეკლესია დამოუკიდებელი საქართველოსა და ბოლშევიკური მმართველობის წლებში, მართვა-გამგეობისა და ეპარქიის საკითხები, საგარეო ურთიერთობანი და XX ს-ის 20–30-იან წლებში მოღვაწე ზოგიერთი სასულიერო პირის მოღვაწეობა.

159. იოანე დამასკელი. მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა = Exact exposition of the orthodox faith / ორი ძველი ქართული თარგმანი (წმ. ეფრემ მცირისა და წმ. არსენ იყალთოელისა). გამოსაც. მოამზადეს რ. მიმინოშვილმა და მ. რაფავამ; ბერძნულიდან თარგმნა ე. ჭელიძემ; [რედ. : ნ. მელიქიშვილი] . – თბ. , 2000 . – 474 გვ.

160. კალანდია გ. ოდიშის საეპისკოპოსოები . – თბ. , 2004 . – 343 გვ.

ცაიშის, ბედიის, ხობისა და მოქვის ეპარქიების ისტორია და მნიშვნელობა ქრისტიანული კულტურის განვითარებაში.

161. კიკნაძე ზ. ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ . – თბ. , 2002 . – 185 გვ.

1989–2001 წლებში დაწერილ სტატიათა კრებულში წარმოჩენილია საეკლესიო სფეროში არსებული პრობლემები: ხელოვნებისა და კულტურის ეკლესიოლოგიური რაობა, ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობა, ეკლესიათა შორის დიალოგის დაწყების მნიშვნელობა, ფსევდოქრისტიანული სექტების საკითხი და სხვა.

162. კირილე ალექსანდრიელი. ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე / რედ. : ე. კოჭლამაზაშვილი; ტექსტი გამოსაც. მოამზადა ლ. ხუნდაძემ . – თბ. , 2004 . – 19 გვ.

V საუკუნის ღმრთისმეტყველის, წმ. კირილე ალექსანდრიელის ქადაგება ფერისცვალების დღესასწაულზე. ნაშრომს საფუძვლად უდევს კ. კეკელიძის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული გელათური ხელნაწერის ფირი. ქადაგების ტექსტს დართული აქვს სახარების «ძნელოანთა სიტყუათა განმარტება – ლექსიკონისა», აგრეთვე მოხსენიებულ პირთა სახელებისა და ზოგიერთი სხვა სიტყვის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომელიც მიეწერება წმ. კირილე ალექსანდრიელის სახელს.

163. ლეონიდე. წერილი ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის შესახებ / სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (1918 – 1921 წწ.); გამოსაც. მოამზადეს ი. აბულაძემ და ლ. ხუნდაძემ . – თბ. , 2005 . – 12 გვ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლეონიდე (ერისკაცობაში ლონგინოზ) ოქროპირიძის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, ვინმე ეკატერინეს მისალოცი წერილი კათოლიკოსად არჩევის გამო და კათოლიკოსის მოსაზრება ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის თაობაზე. მასალა ამოკრებილია ლეონიდე ოქროპირიძის პირადი საარქივო ფონდიდან.

164. მეტრეველი რ. 2004 წელი – რუის-ურბნისის საეკლესიო კრების 900 წლისთავი . – თბ. , 2002 . – 34 გვ.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების (1089 – 1125 წწ.) მნიშვნელობა საქართველოს სახელმწიფო ცენტრალიზაციის, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული წინსვლის საქმეში. ცხრასწლოვანი იუბილეს აღნიშვნის აუცილებლობა.

165. ნადირაძე ე. , ნადირაძე თ. უდაბნო საღვთოთ შემოკრებულთა . – თბ. , 2001 . – 127 გვ.

გარეჯის მრავალმთის სამონასტრო კომპლექსის სოციალური ყოფისა და სამეურნეო ურთიერთობების ეთნოგრაფიული შესწავლის მნიშვნელობა ქართული ბერ-მონაზვნობის ისტორიის კვლევის საქმეში.

166. პავლეს ეპისტოლეთა განმარტება გამოკრებული იოვანე ოქროპირისა და სხვა წმიდა მამათა თხზულებებიდან : თარგმნილი ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ / ტექსტი გამოსაც. მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. კოჭლამაზაშვილმა . – თბ. , 2003 . – 579 გვ.

167. პაპუაშვილი ნ. მსოფლიო რელიგიები საქართველოში . – თბ. , 2002 . – 227 გვ.

ნაშრომში წარმოჩენილია ქრისტიანული მოძღვრებისა და ღვთისმსახურების ზოგადი მიმოხილვა, მართლმადიდებლობა, კათოლიკობა, არაქრისტიანული რელიგიები და კონფესიათა ურთიერთობა საქართველოში.

168. როგავა გ. რელიგია და ეკლესია საქართველოში . – თბ. , 2000 . – 158 გვ.

საარქივო დოკუმენტებისა და არსებული ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე წიგნში განხილულია საქართველოს თექვსმეტსაუკუნოვანი ეკლესიის განვითარების ძირითადი ეტაპები : ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების, ეკლესიის ორგანიზაციული განმტკიცების, ავტოკეფალიად ჩამოყალიბების; ეკლესია-მონასტრების როლი ქართული კულტურის განვითარებაში, ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვასა და შენარჩუნებაში. მოცემულია ეკლესიისა და მართლმადიდებელი ქრისტიანობის მდგომარეობის დახასიათება რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა დიქტატურის პირობებში.

169. საქართველო და ქრისტიანობა: (2000 წლის 26–28 სექტემბერს ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში ჩატარებული ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა და ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენციის მასალები) / რედ. : ნ. მინდაძე . – თბ., 2001 . – 138 გვ.

კრებული აერთიანებს სტატიებს, რომლებიც ეხება საქართველოს რელიგიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის აქტუალურ საკითხებს.

170. საქართველოს საპატრიარქოს მოღვაწეობა 1997–2001 წლებში / შემდგ. : გ. აროშვილი, ზ. აროშვილი . – თბ. , 2001 . – 48 გვ.

საქართველოს საპატრიარქოს საქმიანობა საქართველოს საპატრიარქოს სინოდის გადაწყვეტილების ფონზე – საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია გამოვიდეს მსოფლიო საბჭოდან და უარი თქვას ეკუმენურ მოძრაობაში მონაწილეობაზე.

171. სულავა ნ. XII – XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია . – თბ. , 2003 . – 347 გვ.

XII – XIII საუკუნეების ქართველ ჰიმნოგრაფთა შემოქმედების კოდიკოლოგიური, ისტორიულ-ფილოლოგიური, რელიგიურ-ფილოსოფიური, ლიტერატურული, იდეურ-მხატვრული და ლექსიკურ-ტერმინოლოგიური ანალიზი. ამ პერიოდის ქართული ჰიმნოგრაფიის ადგილი კლასიკური ხანის აზროვნების განვითარებაში, მისი შემეცნებითი ღირებულება და მხატვრული დონე.

172. ტულუმი ა. ცაიშის საეპისკოპოსო . – ზუგდიდი. , 2001 . – 150 გვ.

ცაიშის საეპისკოპოსოს ისტორია და ეპისკოპოსთა ქრონოლოგია. დოკუმენტები ცაიშის ეკლესიის შესახებ. ნაშრომს ერთვის ცაიშის საეპისკოპოსოსა და ტაძრის

ისტორიასთან მჭიდროდ დაკავშირებული ორი საგვარეულოს – ქორთიძეებისა და მეუნარგიების ისტორიის ამსახველი წერილები.

173. უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ: (1977 - 2004 წწ.) / [შემდგ. – გამომც. გ. შიხაშვილი, გამომც. ა. კერესელიძე] . – თბ. , 2004 . – 333 გვ.  
პატრიარქის მოსაზრებები, მსჯელობები, ეპისტოლეები, ქადაგებები, სიტყვები, ლოცვა-კურთხევები, მიმართვები, ინტერვიუები, საუბრები.

174. ფანჯიკიძე თ. რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე . – თბ. , 2003 . – 435 გვ.

წერილები, დიალოგები და ინტერვიუები საქართველოში მიმდინარე რელიგიურ პროცესებზე, საზოგადოებისა და მართლმადიდებელი სამღვდელოების ურთიერთობაზე, რელიგიურ უმცირესობებსა და რელიგიური ფაქტორის როლზე საქართველოს საგარეო პოლიტიკაში.

175. ქვრივიშვილი ო. სვეტიცხოვლის მისტერია . – თბ. , 2000 . – 429 გვ.

ნაშრომი ეხება თემატურად განსხვავებულ სფეროებს, რომელთა ძირითადი მოტივები განსაზღვრავენ საქართველოს სულიერი ცხოვრების თავისებურებებს. ყურადღება გამახვილებულია სვეტიცხოვლის ისტორიაზე ანუ სვეტიცხოვლის მისტერიაზე.

176. ქურასბედიანი გ. წმიდა გიორგის სახელთან დაკავშირებული თქმულებები . – თბ. , 2001 . – 27 გვ.

წმ. გიორგის განსაკუთრებული ადგილი ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში. წმინდა გიორგის სახელთან დაკავშირებული თქმულებები სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს სხვა კუთხეებში.

177. ჩიტაია გ. ფოთის ღვთისმშობელი იცავს . – ფოთი. , 2002 . – 129 გვ.

ფოთი – საქართველოს ერთ-ერთი სასულიერო ცენტრი და საზღვაო კარიბჭე. ფოთის ტაძრები, სამღვდელოება და მრევლი, ქრისტიანთა დევნა XIX – XX საუკუნეებში. ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი ფოთის აღორძინებაში. ფოთის საკათედრო ტაძრის ისტორია.

178. ცაცანაშვილი მ. სახელმწიფო და რელიგია . – თბ. , 2001 . – 90 გვ.

რელიგიური ორგანიზაციები საქართველოში; რელიგიური თავისუფლება და მისი საკანონმდებლო გარანტიები, ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თანამედროვე მოდელები.

179. წმინდანთა ცხოვრება / [წიგნის შედგენაზე მუშაობდნენ : დეკანოზი ზაქარია მაჩიტაძე, მ. ბუკია, მ. ბულია]. ემღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის დაბადების 70 და აღსაყდრების 25 წლისთავს . – თბ. , 2003.

წ. 1 : იანვარი-ივნისი . – 2003 . – 504 გვ.

წ. 2 : ივლისი-დეკემბერი . – 2003 . – 549 გვ.

ორტომეულში ასახულია წმინდანთა ცხოვრება, ამოკრებილი როგორც ძველი ქართული ტექსტებიდან, ასევე რუსული სვინაქსარული ცხოვრებიდან შემოკლებული თარგმანის სახით. უძველესი ტრადიციის მიხედვით წმინდანთა ცხოვრებანი ჰაგიოგრაფიულ კრებულებში კალენდარული თანმიმდევრობითაა შეტანილი. ამავე პრინციპითაა შედგენილი ეს კრებულიც.

180. ჯაფარიძე ა. პეტრე იბერი მართლმადიდებელი ეპისკოპოსი . – თბ. , 2002 . – 22 გვ.

ნაშრომი დაყოფილია თავებად: ქართველთა სამონასტრო ცხოვრების სათავეებთან IV-V სს. , იოანე ლაზი ქართული სამწერლო ენის სათავეებთან, პეტრე იბერის ბიოგრაფიები, მონოფიზიტობის გაძლიერება XVII – XVIII საუკუნეებში და პეტრე იბერის ხსენების გაუქმება.

181. ჯაფარიძე ა. პოლემიკა კათოლიკური ორიენტაციის სწავლულებთან . – თბ. , 2002 . – 48 გვ.

მთავარეპისკოპოს ანანია ჯაფარიძის საეკლესიო და საერო ორგანოებში გამოქვეყნებული ქადაგებანი და წერილები. კრებულს ერთვის უდეს, ხიზაბავრას, ივლიტას, ვალესა და სხვა ეკლესიათა სამრევლოების თხოვნანი დედა ქართული ეკლესიის წიაღში დაბრუნების მიზნით.

182. ჯაფარიძე ა. საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროების პერიოდიზაცია და საეკლესიო ისტორიოგრაფია . – თბ. , 2002 . – 41 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს ეკლესიის ისტორიის წყაროები და საეკლესიო ისტორიოგრაფიის სამი პერიოდი : წმინდა მოციქულებიდან რუს-ურბნისის კრებამდე (I–XIII), რუს-ურბნისის კრებიდან ავტოკეფალიის გაუქმებამდე (XII–XVIII სს) და ავტოკეფალიის გაუქმებიდან დღემდე (XIX–XX სს).

183. ჯაფარიძე ა. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. ტ. 4 . – თბ. , 2003 . – 357 გვ.

XIX–XX საუკუნეების საქართველოს ეკლესია, საეკლესიო კრებები IV–XVIII საუკუნეებში, საეკლესიო სამართლის წყაროები.

184. Христианство: Прошлое. Настоящее. Будущее. Международный симпозиум (2000 . , Тбилиси) . – Тб. , 2000 . – 120 с.

В сборнике представлены краткие содержания докладов участников международного симпозиума “ Христианство : Прошлое. Настоящее. Будущее. “ С исторической, этнологической, литературоведческой, философской точек зрения рассмотрены три глобальные проблемы: христианство и государство, христианство и общество, христианство и культура.

185. Jones Stephen. Religion and Nationalism in Soviet Georgia and Armenia . – [S.L.S.d]

ნაშრომში განხილულია რელიგიისა და ეთნიკურობის ისტორიული პერსპექტივა საქართველოსა და სომხეთში, ქართული და სომხური ეკლესიების მდგომარეობა საბჭოთა რენაციონალიზაციის პირობებში (1920 – 1953 წლები), სახელმწიფოსა და ეკლესიის თვალსაზრისი რელიგიასა და ნაციონალიზმზე ამ ორ საბჭოთა რესპუბლიკაში.

186. Peters C. J.[Jones St.] The Georgian Orthodox Church . – [s.l.s.d.]

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ავტოკეფალიის აღდგენიდან (1917 წ.) დღემდე. მოკლე ისტორიული ექსკურსი.

187. ანდრიაძე მ. გულანებში დაცული ჭრელების შესახებ // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 49 – 58. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულ შემოქმედის გულანში (Q-103) და გურიანთის გულანში (Q-104) მოთავსებული საგალობლების ანალიზი.

188. ასათიანი ქ. ვაზის ჯვრის ისტორიიდან // საქართველოს სიმღერები . – 2003 . - №4 – 5 . – გვ. 34 – 45. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართულ მწერლობასა და საეკლესიო ტრადიციაში ვაზის ჯვართან დაკავშირებული გადმოცემები და სომხურ წყაროებში შემონახული ცნობები. წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობა.

189. ბათიაშვილი გ. პორტრეტი თანამედროვე ინტერიერში // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4. - გვ. 10 – 25. რეზ. ინგლ. ენაზე.

ებრაელი რაბინისა და საზოგადო მოღვაწის დავით ბააზოვის ცხოვრება და მოღვაწეობა.

190. გაბისონია თ. ქართული საეკლესიო საგალობლისა და ქართული ხალხური სიმღერის ურთიერთმიმართების რამოდენიმე ასპექტი // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 209 – 222. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

საგალობლისა და სიმღერის სტილურ თავისებურებათა შედარებისას წარმოჩენილი მსგავსება და განსხვავება.

191. გრიგალაშვილი ი. შტეფანე მტბევრის «მიქელ-გობრონის მარტვილობის» კომპოზიცია // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2001 . – გვ. 158 – 165. რეზ. რუს. ენაზე.

X საუკუნეში მოღვაწე სტეფანე მტბევარ ეპისკოპოსის თხზულების «წამებაჲ წმიდისა მოწამისა გობრონისი» კომპოზიციური აგებულება და სახისმეტყველებითი ასპექტები.

192. ვაჩნაძე ნ. კოლექტიური მეხსიერება : ქართველ წმინდანთა «ადგილი სამარხო»-ში თურქეთში // თბილისის უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 132 – 138.

რეზ. რუს. და ფრანგ. ენებზე.

ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის «ცხრათა ყრმათა კოლაელთა წამება»-ში აღწერილი ამბის გეოგრაფიული მდებარეობის საკითხი და მასთან თურქეთში მოგზაურობისას შემთხვევით აღმოჩენილი ტოპონიმის – «პატარა ბავშვების წამების სოფლის» შესაძლო კავშირი.

193. ზაიბტი ვ. რეცენზია რუსუდან ლაბაძის სადისერტაციო ნაშრომზე «ცოდვა და შიში შუა საუკუნეებში» // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 333 – 335. ტექსტი ქართ. ენაზე გერმანულიდან თარგმნა ნ. ხუციშვილმა.

194. კაპანაძე ხ. ლიტურგიკა და ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . – №5 . – გვ. 85 – 97. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქრისტიანობის ადრეულ პერიოდში ადგილობრივი წეს-ჩვეულებების ქრისტიანულში შეღწევა, ქრისტიანული დებულებების გადააზრება ადგილობრივი შეხედულებებიდან გამომდინარე, რამაც თავისებური კვალი დააჩნია საეკლესიო ხუროთმოძღვრებას.

195. კეზევაძე მ. გელათის მონასტრის მართვა-გამგეობა, კრებული და წინამძღვრები ეგზარქოსობის დროს // საქართველოს სიძველენი . – 2004 . – №6 . – გვ. 231 – 245. რეზ. ინგლ. ენაზე.

მონასტრის ძმთა ყოფა-საქმიანობა XIX-XX საუკუნეებში. კრებულის შემადგენლობა, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

196. კეზევაძე მ. გელათში დაცული ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი ნივთ-სამკაულის შესახებ // საქართველოს სიძველენი . – 2003 . – №4 – 5 . – გვ. 267 – 272. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქუთაისის საეპარქიო საბჭოს დადგენილების შესაბამისად 1920 წელს გელათის მონასტერში დასაცავად ჩამოტანილი ჯრუჭის მონასტრის კუთვნილი 47 დასახელების საეკლესიო ნივთების სია და მათი შემდგომი ბედი.

197. კიკნაძე ვ. კათოლიკოს-პატრიარქ კირიონ II-ის ურთიერთობა დასავლეთ ევროპის საერო და საეკლესიო მოღვაწეებთან // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 126 – 138. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფრაგმენტები კირიონ II-ის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. მიმოწერა ვატიკანის წარმომადგენელ კათოლიკე მკვლევარ აურელიო პალმიერისთან, ფრანგ არქეოლოგსა და ეთნოგრაფ ბარონ დე ბაისთან, რუსეთში მოღვაწე გერმანელ მკვლევარ გუსტავ ბერმანთან და სხვა.

198. კლდიაშვილი დ. სინას სულთა მატთანე : ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და სინაზე // ანამკი : ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი . – თბ. , 2002 . – გვ. 215 – 240. რეზ. ინგლ. ენაზე.

ფანასკერტელ-ციციშვილთა მოსახსენებლებსა და ამ საგვარეულოს წარმომადგენელთა სააღმშენებლო საქმიანობა XIII ს. 50-იანი წლებიდან XV ს.-მდე.

199. მამისთვალიშვილი ე. საქართველოსა და სინის მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 62 – 76. რეზ. ინგლ. ენაზე.

სინის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის ისტორია, დაპირისპირება მონასტრის სამშოსა და ალექსანდრიის საპატრიარქოს შორის, სინის არქიეპისკოპოს ანანიას ქართლის სამეფოში ჩამოსვლა თავისი მონასტრის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად (XVII სს.).

200. მანაგაძე ხ. დიდი მარხვის ლიტურგიკულ-ისტორიული და მუსიკალური ასპექტები // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 36 – 48. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

დიდმარხვის პერიოდის მსახურებათა მუსიკალურ-ესთეტიკური მხარე ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში დაცული Q-668 ხელნაწერზე დაყრდნობით, რომელიც ამ მსახურებისათვის განჩინებულ საგალობლებს მოიცავს და ნოტებზე ფილიმონ ქორიძის მიერაა გადაღებული.

201. მაჭარაშვილი გ. წმიდა ექვთიმე ათონელის დამოკიდებულება ლათინო-პაპობისადმი // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 30 – 40. რეზ. ინგლ. ენაზე.

ცნობები წმ. ექვთიმე ათონელის (955 – 1028) ღვაწლსა და შემოქმედებაზე. მისი დამოკიდებულება ლათინოპაპისტური სწავლებისა და წეს-ჩვეულებებისადმი.

202. მახარაშვილი ს. ეპიფანე კვიპრელის «ოთხმოცთა წვალებათათჳს» და თეოდორიტე კვირელის «აღსარებას» ქართული თარგმანები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2001 . - №1 – 4 . – გვ. 118 – 124. რეზ. რუს. ენაზე.

თეოფილე ხუცესმონაზონის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი ამ ორი ნაწარმოების ურთიერთკავშირი და შინაარსი.

203. ონიანი ე. ზოგიერთი მოსაზრება ქართული გამშვენებული გალობის შესახებ // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 59 – 68. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ქართულ სამგალობლო პრაქტიკაში ცნობილი გავარჯიშებული, ანუ გამშვენიერებული გალობის შემოდების ადრეული ეტაპებისა და საწყისი პერიოდის დადგენა. XIX საუკუნის გურულ-იმერული წარმოშობის ხელნაწერებისა და ამბროსი ნეკრესელის XVIII ს-ით დათარიღებული საგალობლების ანალიზი. შეპირისპირება ბიზანტიურ და რუსულ სამგალობლო პრაქტიკაში არსებულ ანალოგიურ მოვლენებთან.



204. სილოგავა ვ. რეცენზია გიორგი კალანდიას საკანდიდატო სადისერტაციო ნაშრომზე «ოდიშის საეპისკოპოსოს ისტორია (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი)». თბ. , 2002 // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია. – გვ. 336 – 345.

205. სიმონიშვილი თ. ბოდბის საეპისკოპოსოს დაარსების საკითხისათვის // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 13 – 29. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბოდბისა და ხორნაბუჯის საეპისკოპოსოების ურთიერთმიმართების საკითხი. ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის მიმოხილვა. წმინდა ნინოს მარშრუტისა და მისი ნეშტის დაკრძალვის ადგილის სხვადასხვა ვარიანტის შეჯერება. ვარაუდი ბოდბის საეპისკოპოსოს IV საუკუნის მეორე ნახევრიდან არსებობის შესახებ.

206. სულავა ნ. წმინდა ნინოს სახის ინტერპრეტაციისათვის ნიკოლოზ გულაბერისძის «საკითხავსა» და «გალობანში» // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2004–2005 . – გვ. 123 – 133 . – რეზ. რუს. ენაზე.

საქართველოში ქალის მიერ ქრისტიანობის გავრცელება-ქადაგების საკითხი ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებებში: «საკითხავი სუეტისა ცხოველისა კუართისა საუფლოდსა და კათოლიკე ეკლესიისაჲ» და «გალობანი სუეტისა ცხოველისან»-ში.

207. სულავა ნ. ზოსიმე მთაწმინდელი // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ენისა და ლიტერატურის სერია . – 2001 . – №1 – 4 . – გვ. 125 – 133. რეზ. რუს. ენაზე.

XI ს-ის ათონელი მოღვაწის მიერ შეთხზული წმინდა ილარიონ ქართველისა და წმინდა ეფთვიმე მთაწმინდელისადმი მიძღვნილი საგალობლები «ათონის კრებულში» (A-558).

208. სულავა ნ. ხარების თემა ქართულ ჰიმნოგრაფიაში // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 135 – 147. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ერთ-ერთი უდიდესი საუფლო დღესასწაულის \_ ხარების თემისადმი მიძღვნილი ბორენა დედოფლის, დემეტრე მეფისა და არსენ ბულმაისიმიძის თითოსტროფიანი იამბიკოები.

209. სურმანიძე რ. წმ. თეოდორე აჭარელის ვინაობისათვის // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . – №12 . – გვ. 94 – 104.

ერისკაცობაში თევდორე (ბექირ-ბეგ) ავალიანი ქვემო აჭარის სოფ. დონდალოდან. ავალიანთა გვარის ისტორიის გაშუქება ზეპირ ცნობებსა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით.

210. სუხიაშვილი მ. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიული განვითარების ზოგიერთი საკითხის შესახებ // სასულიერო და საერო მუსიკის

მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 119 – 134. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ე. მეტრეველის გამოკვლევაში «ძლისპირნი» და «ღმრთისმშობლისანი» გამოთქმული დებულებები ქართული გალობის ორიგინალობის, წარმოშობისა და ბიზანტიურთან მიმართების შესახებ.

211. ფუტკარაძე შ. წმიდა თეოდორე აჭარელი // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 88 – 93.

ოსმალების მიერ ათონის მთაზე ქრისტიანული სარწმუნოებისათვის წამებული მღვდელ-მონაზონი (XVIII – XIX სს.). მონაცემები აღებულია პლატონ იოსელიანის კომენტარებიდან, რომელიც ახლავს 1852 წელს გამოცემულ ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობის წიგნს «მიმოსვლა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა...»

212. ქადაგიძე მ. წერილი ათონის ივერთა მონასტრიდან // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4–5 . – გვ. 259 – 266. რეზ. ინგლ. ენაზე.

ათონის მონასტრის მმართველის, მონაზონ იონას მიერ წევის ეკლესიის დეკანოზის – მაკარ ეფრემის ძე გაჩეჩილაძისადმი გამოგზავნილი წერილი იმდროინდელი საქართველოსა და ათონის მონასტრის ურთიერთობისა და ათონში ქართველთა მდგომარეობის შესახებ.

213. ქაჯაია ნ. «დიდი შესვლის» საგალობელი «სიწმინდისა» ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2000 . - №1 – 4 . – გვ. 145 – 160. რეზ. რუს. ენაზე.

«სიწმინდის საგალობლის» შინაარსი, რიცხვი, შესრულების მანერა მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში.

214. ქაჯაია ნ. ქერუბიკონის ლოცვა ძველ ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში // Metavoia . – თბ. , 2001 . – გვ. 213 – 232. რეზ. ინგლ. ენაზე.

ამ ლოცვის ძველი ქართული რედაქციების განხილვა.

215. ღამბაშიძე ნ. წმ. დავით გარეჯელთან დაკავშირებული დღესასწაულები // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4 – 5 . – გვ. 46 – 51. რეზ. ინგლ. ენაზე.

დღესასწაულები განხილულია წმ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში აღწერილი მოვლენების მიხედვით.

216. შურღაია თ. დაბადების წიგნის ერთი მუხლის თარგმანების საკითხისათვის // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2000 . - №1–4 . – გვ. 161 – 176. რეზ. ინგლ. ენაზე.

«ცუდი ამბები» და «ბრალი ბოროტი» – ტექსტოლოგიური ძიებანი.

217. შულღიაშვილი დ. ქართული გალობის «უნისონური» მრავალხმიანობა // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 101 – 118. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

საუბარი ქართულ სამგალობლო სკოლებზე, გალობის ხმებზე, მათ რაოდენობაზე, სახელწოდებასა და დაჯგუფებაზე.

218. ჩხეიძე თ. მართლმადიდებლური ლიტურგიისა და კათოლიკური მესის მუსიკალური კომპოზიციის თავისებურებანი: (შედარებითი ანალიზი) // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 7 – 16. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ქართული სამგალობლო საეკლესიო-საღვთისმსახურო მუსიკის დანიშნულება, ხასიათი, ტრადიცია და მუსიკალური მასალის განვითარების უძველესი ხერხები.

219. ცინცაბაძე მ. წმინდა ქეთევან დედოფალი ქართულ ჰიმნოგრაფიაში // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 148 – 167. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

ქრისტიანული რჯულისათვის თავდადებული დედოფლისადმი მიძღვნილი ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლები – XVII საუკუნის დასარულისა და XVIII საუკუნის დასაწყისის დოდოს მონასტრის მოწესის გრიგოლ ვახვახიშვილ-დოდორქელის, კათოლიკოს ანტონ I-ის, ანონიმი ავტორისა და ნიკოლოზ თბილელის საგალობლები. ქართლ-კახური გალობა «კარბელაანთ კილოთი» ნოტებზე გადაღებული მღვდელ ვასილ კარბელოვის მიერ.

220. ცოფურაშვილი თ. კირილე ალექსანდრიელის სუკენსონ დიოკესარიელისადმი მიწერილი ეპისტოლეების ექსცერპტები «დოგმატიკონში» // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2004–2005 . – გვ. 184 – 191. რეზ. რუს. ენაზე.

ეპისტოლეები დაცულია არსენ იყალთოელის მიერ ნათარგმნ «დოგმატიკონში» და მათში გადმოცემულია კირილე ალექსანდრიელის მთავარი ქრისტოლოგიური შეხედულებები.

221. ცქიტიშვილი თ. ადამიანის პრობლემა და მასთან დაკავშირებული ერთი ბიბლიურ-სიმბოლური ეპიზოდის ახლებური გააზრებისათვის // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 168 – 191. რეზ. ინგლ. ენაზე.

კაენისა და აბელის ეპიზოდის განხილვა; ადამიანის პრობლემის ახალი მსოფლმხედველობრივი ასპექტების გამოვლენა იოანე პეტრიწისა და რუსთაველის ნააზრევში (პეტრიწთან \_ სინდისის ასპექტის, რუსთაველთან \_ თავისუფალი ნებისა).

222. ხარანაული ა. ეზრა I-ის ქართული თარგმანის ხანმეტი ტექსტი // Meravoia . – თბ., 2001 . – გვ. 296 – 330. რეზ. გერმ. ენაზე.

ავტენტურობის, წარმომავლობისა და თარგმანის ტექნიკის საკითხები. ბიბლიის ქართული თარგმანის ტექსტოლოგიური შესწავლის ცდა.

223. ჰუსეინოვა ზ. «საქართველოს საეგზარქოსოს სასულიერო მოამბის» მუსიკალური ფურცლები : 1891-1906 // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 168 – 183. ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.

ორენოვანი რუსულ-ქართული ჟურნალი, რომელსაც გამოსცემდა თბილისის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია.

## სოციოლოგია

224. კოდუა ე. სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური ნააზრევი მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში . – თბ. , 2001 . – 416 გვ.

სოციოლოგიური და სოციალურ-ფილოსოფიური აზრის განვითარების ძირითადი მიმართულებანი საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში. მიხაკო წერეთლის, არჩილ ჯორჯაძის, სერგი დანელიას, დიმიტრი უზნაძის, გერონტი ქიქოძის, ივანე ჯავახიშვილის, ალექსანდრე ჯანელიძის, კოტე გორდელაძისა და კიტა მეგრელიძის შეხედულებანი.

225. არჩვაძე ზ. ნიკო ნიკოლაძე და მონტესკიეს «სპარსული წერილები» // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2001 . – ტ. 339 (2) : დასავლეთ ევროპის ენები და ლიტერატურა . – გვ. 13 – 17.

ფრანგი განმანათლებლის შარლ-ლუი მონტესკიეს «სპარსული წერილების» გავლენით დაწერილი ნიკო ნიკოლაძის ამავე სახელწოდების ნარკვევის მიმოხილვა.

## მოსახლეობა. მიგრაცია

226. უმაროვ-გოზალიშვილი ხ. მესხთა ტრაგედია . – თბ. , 2005 . – 327 გვ.

მესხეთისა და მესხების ისტორია, ფერღანაში მომხდარი ვანდალური აქტი, მუსლიმი მესხების დღევანდელი მდგომარეობა და მათი საქართველოში დაბრუნების სურვილი.

227. ფუტკარაძე ტ. მესხეთიდან დეპორტირებულთა თვითაღქმა . – თბ. , 2005 . – 44 გვ.

საქართველოდან სხვადასხვა დროს დეპორტირებულთა წინაპრები, მესხეთის მიწაზე ქრისტიანების დევნა, მუჰაჯირობა, რუსეთის იმპერიის მიერ მუსლიმანთა გასახლება, დაბრუნებული მესხებისა და ადგილობრივი მოსახლეობის თანაცხოვრების მცდელობა და სოფელ იანეთში ჩამოსახლებული მესხების მდგომარეობა.

228. ვარშანიძე ნ. დემოგრაფიული ვითარება ქალაქ ბათუმში XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . \_ №12 . – გვ. 52 – 57.

229. მელაძე გ. საქართველოს მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დემოგრაფიული ასპექტები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია, გეოლოგია . – გვ. 226 – 232. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

1989 – 1999 წლების მონაცემები.

### **პოლიტიკა. პოლიტიკური პარტიები. ეროვნული საკითხი**

230. არჩვაძე ი. მშვიდობით, იარაღო – გამარჯობა, აფხაზეთო, შენი! : [აფხაზეთში კონფლიქტის არსისა და მისი მოწესრიგების მოდელის შესახებ] . – თბ. , 2001 . – 24 გვ.

231. აფხაზეთის საკითხი საქართველოს პარლამენტში (1995 – 1999) : [კრებული / ავტ. და სარედ. კოლ. : ვ. ყოლბაია და სხვ.] . – თბ. , 2000 . – 512 გვ.

საქართველოს პარლამენტის მიერ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით მიღებული კანონები, დადგენილებები, განცხადებები, მიმართვები, დებატები, დისკუსიები. აფხაზეთის საკითხი ევროსაბჭოს, ეუთოს საპარლამენტო და დსთ ქვეყნების საპარლამენტოაშორისო ასამბლეებზე. დროებითი კომისიის სხდომების ოქმები, განცხადებები და მიმართვები.

232. ბერძენიშვილი გ. სტალინი : პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი (ნამდვილი ბიოგრაფია) . – გორი , 2006 . – 479 გვ.

233. გელაძე-ჯულაშვილი ე. ჩემი მოგონებანი . – თბ. , 2003 . – 35 გვ.

ი. ბ. სტალინის დედის – ეკატერინე გიორგის ასული გელაძე – ჯულაშვილის მოგონებანი ბელადის ბავშვობასა და ყრმობაზე.

234. გერგედავა-ჭელიძე ზ. აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობა (1898 – 1918) . – თბ. , 2002 . – 127 გვ.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართული სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მოღვაწეობის ისტორია. მოკვლევა ეყრდნობა საარქივო მასალებსა და გამოუქვეყნებელ წყაროებს.

235. გერგედავა-ჭელიძე ზ. აკაკი ჩხენკელის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ევოლუცია (1898 – 1917) . – თბ. , 2002 . – 87 გვ.

აკაკი ჩხენკელის მოღვაწეობა. მისი ნაშრომები «ერი თუ კაცობრიობა?!» და «ერი და ჩვენ».

236. გვინდა თუ არა პრეზიდენტი შევარდნაძის შემდეგ? საპრეზიდენტო და საპარლამენტო მმართველობის ავ-კარგი საქართველოში / [რედ. ზეინაზ სირაძე] . – თბ. , 2001 . – 83 გვ.

დისკუსია საქართველოში საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო მმართველობის შემოღების შესახებ. წარმოდგენილია ვახტანგ ხმალაძის, კობა დავითაშვილის, მიხეილ ნანიშვილის, გია ნოდისა და სხვათა მოსაზრებები.

237. გრიგორიევი ი. საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში . – ბათუმი . , 2002 . – 163 გვ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში არსებული პოლიტიკური რეალობა და რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობანი საარქივო, ისტორიული და მემუარული წყაროების მიხედვით.

238. დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში = Building Democracy in Georgia : სადისკუსიო მასალა . – თბ.

№1 : დემოკრატიის დამკვიდრების მცდელობები საქართველოში / [ავტ. : გია ნოდია, გიგი თევზაძე] . – 2003 . – 66 გვ.

№2 : კონსტიტუციური სისტემა საქართველოში / [ავტ. : გია გეწაძე, გია ნოდია] . – 2003 . – 38 გვ.

№3 : რეგიონალიზმი და ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში / [ავტ. : დავით ლოსაბერიძე] . – 2003 . – 38 გვ.

№4 : საარჩევნო პროცესები საქართველოში / [ავტ. : დავით უსუფაშვილი, გია ნოდია] . – 2003 . – 40 გვ.

№5 : ძალოვანი სტრუქტურები, სუსტი სახელმწიფოს სინდრომი და კორუფცია საქართველოში / [ავტ. : დავით დარჩიაშვილი, გია ნოდია] . – 2003 . – 56 გვ.

№6 : ადამიანის უფლებები საქართველოში / [ავტ. : თინათინ ხიდაშელი, არნოლდ სტეფანიანი, დავით ზურაბიშვილი, ლელა ხომერიკი] . – 2003 . – 88 გვ.

№7 : დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში / [ავტ. : გია ნოდია, გიგი თევზაძე, მარინა მუსხელიშვილი, ნანა სუმბაძე] . – 2003 . – 86 გვ.

№8 : დემოკრატიზაცია საქართველოში : ეკონომიკური გარდაქმნები და სოციალური დაცვა / [ავტ. : მარინა მუსხელიშვილი, ანა ახვლედიანი, ალექსანდრე თვალჭრელიძე] . – 2003 . – 54 გვ.

№9 : ეთნიკური კონფლიქტი და განდგომილი რეგიონები საქართველოში / [ავტ. : დავით დარჩიაშვილი, გიგი თევზაძე] . – 2003 . – 38 გვ.

№10 : საქართველოს დედაქალაქი და რეგიონები / [ავტ. : თამარ ბერეკაშვილი] . – 2003 . – 132 გვ.

№11 : საერთაშორისო დახმარების გავლენა საქართველოზე / [ავტ. : ჯაბა დევდარიანი] . – 2003 . – 44 გვ.

№12 : საქართველო სამხრეთ კავკასიის რეგიონის კონტექსტში / [ავტ. : დავით დარჩიაშვილი] . – 2003 . – 38 გვ.

დემოკრატიის მშენებლობა საქართველოში = Building Democracy in Georgia = Становление демократии в Грузии : 12 სადისკუსიო მასალის შემაჯამებელი ნარკვევი / [ავტ. : არმინე არაკელიანი, გია ნოდია, ჯაბა დევდარიანი . – თბ. , 2003 . – 82 გვ.

239. ვადაჭკორია შ. ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში . – თბ. , 2001 . – 495 გვ.

პარტიის ორგანიზაციული საკითხები, სახელმწიფოს მართვის ფორმები, ეკონომიკური რეფორმები, საგარეო პოლიტიკის საკითხები, დამსახურება საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში.

240. ზაალიშვილი გ. დელ მარში . – თბ. , 2001 . – 251 გვ.

ახალგაზრდა მხატვრის მოგონებები ჩეჩნეთში გატარებული ერთწლიანი ტყვეობის შესახებ.

241. ლაზარიაშვილი ჯ. (გიორგი). ეროვნული იდეოლოგია და სახელმწიფო (ზოგადი მიმოხილვა) . – თბ. , 2000 . – 67 გვ.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია XII – XIII და XV – XVIII საუკუნეებში. ეროვნული იდეოლოგია და თანამედროვე მიმდინარეობები. არაქართული მოსახლეობის დამოკიდებულება ეროვნული იდეოლოგიისადმი.

242. მაისურაძე თ. არჩილ ჯორჯაძის მსოფლმხედველობის ზოგიერთი პოლიტიკური ასპექტი . – თბ. , 2005 . – 74 გვ.

სოციალ-ფედერაციული პარტიის ერთ-ერთი დამაარსებლის არჩილ ჯორჯაძის მოსაზრებები სახელმწიფოსა და კანონის, საერთო ნიადაგის თეორიის, ერისა და სახელმწიფოსა და თვითმმართველობის არჩევნების თაობაზე.

243. მოლაშვილი თ. აფხაზეთი. დრამატულ დღეთა ქრონიკა . – თბ. , 2000 . – 118 გვ.

აფხაზეთის ომის მონაწილე ჟურნალისტის მოგონებები. დოკუმენტური მასალა ომის დაწყების მიზეზების, გაგრის დაცემის, აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ბრძოლებისა და ომის ბოლო დღეების შესახებ.

244. ნადარეიშვილი თ. , ჩიტაია დ. , დავითაია კ. სეპარატიზმის პრობლემა საქართველოში : (ისტორია და თანამედროვეობა) წიგნი 1 . – თბ. , 2003 . – 331 გვ.

აფხაზეთი სეპარატიზმის ჩამოყალიბების პროცესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში (1918-21) და ურთიერთობა ქართველებსა და აფხაზებს შორის.

245. ნათაძე ნ. რაც ვიცი : (ფაქტები და ანალიზი) . – თბ. , 2002 . – 386 გვ.

90-იანი წლების საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მათი ავტორისეული ანალიზი.

246. 25 წელი საზოგადოება «ცოდნაში» . – თბ. , 2000 . – 61 გვ.

პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, პროფესორ სერგო ყურაშვილის ცხოვრებისა და მისი 25-წლიანი მოღვაწეობის შესახებ საზოგადოება «ცოდნაში». მეგობრებისა და კოლეგების მოგონებები ს. ყურაშვილზე.

247. საჯაია ს. ე. წ. თანამედროვე მსოფლიო და დივერსიული ეთნოფაბრიკაციები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში (ცხუმ-აფხაზეთში) . – თბ. , 2003 . – 181 გვ.

კრებულში განხილულია ველიკოდერჟავული ეთნოფაბრიკაციების დივერსიული შედეგები ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის დეოკუპაციის პრიორიტეტები და სხვა აქტუალური საკითხები.

248. უსაფრთხოების სტრატეგიის ეთნიკური ასპექტები (პანკისის კრიზისი) / [პასუხისმგებელი რედ.-გამომც. : ლია მელიქიშვილი] . – თბ. , 2002 . – 341 გვ.

კავკასიაში პოლიტიკურად ერთ-ერთ ფეთქებადსაშიშ რეგიონში – პანკისის ხეობაში მიმდინარე პროცესების გაანალიზება.

249. ფერაძე გ. ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში. ნაკვეთი პირველი . – თბ. , 2001 . – 122 გვ.

საარქივო მასალებზე დაყრდნობით ავტორი გვაცნობს მე-19 ს-ის მეორე ნახევარში საზღვარგარეთ მოღვაწე პოლიტიკოსის ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიის დღემდე შეუსწავლელ პერიოდს. ნაშრომში წარმოდგენილია როგორც მშობლიურ, ასევე ინგლისურ და ფრანგულ ენებზე დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილი ვ. ჩერქეზიშვილის ნაშრომები : «საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან», «საქართველო» და 1896-1897 წწ. გაზეთ «ფრიდომში» გამოქვეყნებული პუბლიკაციები – სომხებსა და ბერძნებზე.

250. შარაძე გ. საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა. – თბ. , 2003 . – 282 გვ.

ქართულ-ევროპული ისტორიული და დიპლომატიური ურთიერთობები, საქართველოს ელჩები და მათი ბიოგრაფიები. საგარეო საქმეთა მინისტრების \_ აკაკი ჩხენკელისა და გიორგი გეგეჭკორის პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობა ემიგრაციაში.

251. ხოჭოლავა ვ. ისტორიის საზრისის პრობლემა და პოლიტოლოგიის მეთოდოლოგიის საკითხები . – თბ. , 2001 . – 59 გვ.

პოლიტოლოგიის, პოლიტოლოგიის მეთოდოლოგიისა და ისტორიის საზრისის ფილოსოფიური გააზრების ურთიერთკავშირი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომების მიხედვით.

152. ხოჯა ე. შეხვედრები სტალინთან : მოგონებები . – თბ. , 2001 . – 208 გვ.

რუსული გამოცემის თარგმანი.

253. Аспекты Грузино-Абхазского конфликта = Aspects of the Georgian-Abkhaz Conflict // Ред. Паула Гарб, Арда Инал-Ифа, Паата Закареишвили; UCI University of California, Irvine . – Ирвайн.

Кн. 2 : Материалы грузино-абхазской конференции. Конобеево (Московская область). Август. 1999 . – 2000 . - 152 с.



Кн. 3 : Стенограммы грузино-абхазских встреч и телепередач по абхазской проблеме. Декабрь 1999 . – 2000 . - 152 с.

Кн. 5 : Материалы грузино-абхазской конференции : преимущество культур в контексте государственного строительства. Адлер, 26-28 августа 2000 г. – 2001 . - 359 с.

Кн. 6 : Тбилисские встречи. Октябрь-декабрь 2000 г. – 2001 . - 140 с.

Кн. 7 : Материалы грузино-абхазской конференции : “Пакт стабильности на Кавказе и стратегия миротворческого процесса”. Сочи, 19-23 марта 2001 г. – 2001 . - 240 с.

Кн. 8 : Материалы грузино-абхазской конференции : “Анализ основных интересов и потребностей сторон на пути к выработке модели взаимоотношений”. Сочи, 20-25 августа 2001 г. – 2002 . - 240 с.

Кн. 9 : Материалы грузино-абхазской конференции “Первые итоги”. Москва, 4-8 июля 2002 г. – 2002 . - 304 с.

Кн. 10 : Время перемен. Узкое, 28-30 июля 2003 г. Москва, 31 марта 2004 г.–2005 . - 298 с.

Кн. 11 : Обсуждение Российского фактора. Москва, 21-22 июня 2004 г. – 2006 . - 175 с.

254. Черная книга Абхазии : (Об этнической чистке и геноциде грузинского населения на территории Абхазии). Часть I / Верховный Совет Автономной Республики Абхазия . – Тб . , 2000 . – 320 с.

Книга посвящена острейшей политической проблеме разоблачения преступлений против человечества, совершенных сепаратистами и их сподручными на территории Абхазии, дается неполный список жертв мирного населения по районам и городам Автономной Республики.

255. After Shevardnadze : Georgian security sector governance after the Roze Revolution / Ed. : Philipp H. Fluri and David Darchiasvili . – [Geneva] : DCAF, [S.d.] . – 280 p.

უსაფრთხოების სექტორის მართვა ვარდების რევოლუციის შემდგომ პერიოდში. სექტორის მოდერნიზებისა და უსაფრთხოების ნაციონალური კონცეფციის შემუშავების განსაკუთრებული მნიშვნელობა საქართველოს სტაბილურობისა და განვითარებისათვის.

256. Jones St. Old Ghosts and New Chains . – [S.l.S.d.] . – 17 p.

ქართული საზოგადოების ტრადიციული სტრუქტურების როლი იმ ოფიციალური და არაფორმალური არხების გაძლიერებაში, რომლებიც საბჭოთა სისტემის პირობებში ქმნიდნენ და იცავდნენ ქართულ ნაციონალურ ისტორიას.

257. Jones St. Glasnost, Perestroika and the Georgian Soviet Socialist Republic . – [s.l.s.d.] . – 26 p.

ნაშრომში საუბარია საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ 1985 წლის შემდგომ პერიოდში. მიმოხილულია ქართული სახელმწიფოს განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორები.

258. Popkhadze N. Attitude to Georgia i. e. Sacartvelo-the land of the Golden Fleece . – Tb. , 2001 . – 40 p.

მოკლე ექსკურსი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის – აფხაზეთის ისტორიაში. კავკასიის შესახებ ინტერნეტში განთავსებული მასალის კრიტიკული შეფასება. აფხაზეთის საკითხი სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებზე.

259. ბატიაშვილი ე. ილიას ბედი «უცხო ბაძით და ძნელბედობით წარხდენილ» ქვეყანაში // საისტორიო ვერტიკალები . – 2002 . - №2 . – გვ. 32 – 36. რეზ. რუს. ენაზე.

ქართული სახელმწიფოებრიობის ეროვნულ მემკვიდრეობაზე დაფუძნებული ილია ჭავჭავაძის თეორიული სისტემა და დღევანდელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნება.

260. დაუშვილი რ. ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები გერმანიაში 1942 – 1944 წლებში // საისტორიო შტუდიები . – 2002 . – ტ. 3 . – გვ. 153 – 177. რეზ. ინგლ. ენაზე.

ქართველი ემიგრანტების მიერ საზღვარგარეთ 20-30-იან წლებში შექმნილი პოლიტიკური ორგანიზაციები : «თეთრი გიორგი», «საქართველოს ფაშისტური დარაზმულობა», «კავკასიის განმათავისუფლებელი კომიტეტი» და 1942 – 1944 წწ. გერმანიაში შექმნილი სამი ორგანიზაცია : «ქართული პოლიტიკური კომიტეტი», «ქართული ცენტრი».

261. კარალიძე ჯ. , ხაჯიშვილი გ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა 1900 – 1907 წლებში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 111 – 116. რეზ. რუს. ენაზე.

ი. ჭავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა მცდელობა, 1905-1907 წლების რევოლუციების ფონზე დაეარსებინათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რაც უშედეგოდ დამთავრდა.

262. ფერაძე გ. რამდენიმე ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან : ნაკვეთი პირველი : (ჩერქეზიშვილები და ქართულ-რუსული პოლიტიკის შუქ-ჩრდილები) // სამართალი . – 2002 . - №5 – 6 . – გვ. 69 – 71. ტექსტი ქართ. , რუს. და ინგლ. ენებზე.

მარქსიზმის კრიტიკოსისა და პოლიტიკოსის ვ. ჩერქეზიშვილის წინაპრებისა და მათი 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ.

263. ფერაძე გ. რამდენიმე ახლად აღმოჩენილი გარემოების შესახებ ვარლამ ჩერქეზიშვილის ბიოგრაფიიდან : ნაკვეთი მეორე : (მარადისობაში გარდასული პოლიტიკური ემიგრაციის სამოცი წელი) // სამართალი . – 2002 . - №7-8 . – გვ. 70 – 73. ტექსტი ქართ., რუს. და ინგლ. ენებზე.

ვ. ჩერქეზიშვილის შემოქმედება და ცხოვრების გზა.

264. ფუტყარაძე თ. , ქათამაძე ც. , ბარამიძე ი. ქვეყნის გოდება, ანუ დეფორმაცია ზნეობისა და სულისა // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . – ტ. 12 . – გვ. 194 – 199.

ქართული მიწების გაყიდვა-გასხვისება სოციალიზმის პერიოდში. უკანასკნელი წლების პოლიტიკური პერიპეტეების მძიმე შედეგები: დემოგრაფიული, ეკონომიკური, ეკოლოგიური და ზნეობრივი კრიზისი.

265. შველიძე დ. აი, ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! – თბ. , 2001.

რეც. : გოგოლიშვილი ო. შესანიშნავი ნაშრომი ქართველ მამულიშვილზე // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 190 – 193.

266. ცეცხლაძე ნ. პოლიტიკური პროცესები ბათუმში 1924 წელს // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . – ტ. 12 . – გვ. 128 – 134. რეზ. რუს. ენაზე.

მთავრობის მიერ ჩატარებული რეპრესიული ღონისძიებები ანტისაბჭოთა გამოსვლების გამო. მოცემულია დახვრეტილთა სია.

267. ცოტნიაშვილი ზ. საგაზეთო პოლემიკა სახელმწიფო ენის საკითხებზე // ჟურნალისტური ძიებანი . – 2003 . – ტ. 5 . – გვ. 139 – 146.

გაზეთ «ახალგაზრდა კომუნისტსა» და ოსურ ჟურნალ «ფიდიუაგში» გამოქვეყნებული გაია თასოევის, თემურ მირიანაშვილის, ნაფი ჯუსოითისა და გ. მამითის პუბლიკაციები სახელმწიფო ენის საკითხებსა და ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

268. ჯავახიშვილი ლ. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ვიზიტები ევროპაში და ქართული პრესა (1920 წ.) // ჟურნალისტური ძიებანი . – 2002 . – ტ. 2 . – გვ. 162 – 166.

სოციალ-დემოკრატი ევგენი გეგეჭკორის სამუშაო ვიზიტები საფრანგეთსა და დიდ ბრიტანეთში.

### ეკონომიკა. მრეწველობა

269. ასათიანი რ. საქართველოს ეკონომიკა : წარსული, აწმყო, პერსპექტივა. მოკლე მიმოხილვა. – თბ. , 2002 . – 46 გვ.

საქართველოს ეკონომიკის რთული გზა რუსეთის იმპერიისა და სსრკ-ის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში; საქართველოს ტერიტორიის, როგორც ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საერთაშორისო მნიშვნელობა.

270. კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა : (ეროვნული და რეგიონალური ეკონომიკის ურთიერთმიმართების დიალექტიკა) . – თბ. , 2001 . – 236 გვ.

ქართული ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისა და ჩამოყალიბების კანონზომიერებები. ილია ჭავჭავაძის ეკონომიკური მემკვიდრეობის ცალკეული ასპექტები.

271. კოდუა ე. გოგი მგელაძე – 100 . – თბ. , 2002 . – 48 გვ.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორ გოგი მგელაძის გერმანიაში ცხოვრება, სამეცნიერო საქმიანობა, საქართველოში დაბრუნება და ტრაგიკული დასასრული.

272. ნიკო ნიკოლაძე «ულმოზელი საქმის კაცი» / გამოცემა მოამზადეს : ნ. გუგუშვილმა, ი. ტალახაძემ, შ. მაჭარაშვილმა, ვლ. ჯაფარიძემ . – თბ. , 2004 . – 38 გვ.

ნიკო ნიკოლაძის მოკლე ბიოგრაფია, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და მნიშვნელოვანი როლი ქართული ჰიდროენერგეტიკის განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკის აღორძინების საქმეში.

273. სადარეიშვილი თ. ბურჯი ქართული ეკონომიკური აზროვნების აღორძინებისა . – თბ. , 2003 . – 42 გვ.

ეკონომისტ ფილიპე გოგიჩაიშვილის ცხოვრება და მეცნიერული საქმიანობა. ნაშრომი ეძღვნება პროფესორის დაბადებიდან 130-ე წლისთავს.

274. ქისტაური შ. , ქისტაური ლ. საფინანსო საბიუჯეტო ფედერალიზმი საქართველოში . – თბ. , 2005 . – 102 გვ.

ფინანსური რესურსების მობილიზაციის და ხარჯვის ფედერალური სისტემის შემოღება, ფუნქციონირება და ბიუჯეტური ურთიერთობების ახალი მოდელი საქართველოში.

275. ჩხეიძე თ. საქართველოს ხელისუფლების აგრარული პოლიტიკა . – თბ. , 2003 . – 199 გვ.

გარდამავალ (სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე) პერიოდში წარმოქმნილი აგრარული პრობლემები, ქართველი ერის მიწათმფლობელობის, მიწათსარგებლობის, საკუთრებისა და საადგილმამულო ურთიერთობათა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები და ადათ-წესები.

276. ასათიანი რ. გლობალიზაცია და საქართველოს სოციალურ – ეკონომიკური განვითარების ზოგიერთი ასპექტი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა (3-4) . – გვ. 117 – 122. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

პოსტკომუნისტური საქართველოს ჩართვა გლობალიზაციის მსოფლიო პროცესში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ახალი ამოცანების დასახვა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თანმდევი ნეგატიური შიდა პროცესების ანალიზი.

277. ასათიანი რ. პაატა გუგუშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 347 : ეკონომიკა 3–4 . – გვ. 165.

აკადემიკოს პ. გუგუშვილის დამსახურება ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

278. ბერკაცაშვილი ზ. საქართველოსა და რუსეთის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ისტორიული ასპექტები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 347 : ეკონომიკა 3–4 . – გვ. 140 – 152. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველო-რუსეთის ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი მე-16 ს-დან დღემდე. ცენტრალურ-მბრძანებლური ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა.

279. გაგოშიძე შ. ეკონომიკა – პრესის ცენტრალური თემა // ჟურნალისტური ძიებანი 2002 . – ტ. 2 . – გვ. 3 – 12.

ქართულ პრესაში ეკონომიკის საკითხების გაშუქების მთავარი პერიმეტრები.

280. გამსახურდია გ. , ბერიშვილი პ. ვ. ჩანტლაძე – გამოჩენილი მეცნიერი, აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 347 : ეკონომიკა 3–4 . \_ გვ. 166\_168.

აკადემიკოს ვასილ ჩანტლაძის წვლილი საქართველოს ეკონომიკის აღმავლობის საქმეში. დაბადებიდან 100 წლისთავი.

281. გიორგაძე მ. საქართველოში უცხოური კაპიტალის მოძრაობის ძირითადი ტენდენციები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . – ტ. 9 . - №1–2 . – გვ. 3–16. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის ზოგად-მეთოდოლოგიური ასპექტები; სახელმწიფოს ეფექტიანი ინვესტიციური პოლიტიკა, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი კაპიტალის გადინების წინააღმდეგ ბრძოლაში.

282. გიორგი პაპავა 80 წლისაა // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 350 : ეკონომიკა 1–2 . – გვ. 147 – 148.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი. ცხოვრება და მოღვაწეობა.

283. გოგიაშვილი მ. , უგულავა ვლ. , თოთაძე ლ. ანტიკორუფციული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და მათი გადაჭრის გზები საქართველოს მაგალითზე // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . – ტ. 9 . - №3 . – გვ. 98 – 108. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

284. გოცირიძე გ. დიდი აბრეშუმის გზა და თბილისი: (სავაჭრო ურთიერთობები და ბაზარი, XIX ს.) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. – 2005 . \_ ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . \_ გვ. 48 – 58. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

დიდი აბრეშუმის გზის სახმელეთო მარშრუტების აღწერა, მისი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და გავლენა თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

285. კვარაცხელია მ. აფხაზეთის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების პრობლემები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №1 – 2 . – გვ. 68 – 76. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ეკონომიკის ძირითადი დარგები, მათი როლი რეგიონის განვითარებაში, საექსპორტო პოტენციალი.

286. მახარაძე ჯ. ჭეშმარიტი მოძღვარი – ღირსეული მამულიშვილი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 350 : ეკონომიკა 1 – 2 . – გვ. 144 – 146.

აგრარიკოს-ეკონომისტი პეტრე ჟღენტი. ცხოვრება და მოღვაწეობა. დაბადებიდან 100 წლისთავის გამო.

287. მელქაძე ვ. თვალსაჩინო მკვლევარი, მეცნიერების ორგანიზატორი, აღმზრდელი პედაგოგი, სახელმწიფო მოღვაწე // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2002 . – ტ. 347 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 160 – 164.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, აკადემიკოს ვალერიან მელქაძის დაბადებიდან 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ სხდომაზე წაკითხული მოხსენება.

288. მიქელაძე გ. , ლოლიჯაშვილი ქ. საქართველოს ლუდის ბაზრის სეგმენტაცია დემოგრაფიული ნიშნების მიხედვით // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 57 – 60. რეზ. რუს. ენაზე.

მარკეტინგული კვლევა.

289. ნერგაძე დ. საქართველოს მინერალური წყლების ბაზრის მარკეტინგული კვლევის საკითხი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 53 – 56. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მინერალური წყლების ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა საქართველოში, მისი მოხმარებისა და რეალიზაციის ძირითადი საკითხები : გამოკითხვის შედეგები.

290. პაპავა ვლ. , ლორთქიფანიძე ვ. , სანთელიძე ნ. ლეო ჩიქავა 75 წლისაა // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 350 : ეკონომიკა 1 – 2 . – გვ. 149 – 152.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი, დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტის დირექტორი. სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა.

291. პაპავა ვლ. , წერეთელი გ. აკადემიკოს ავთანდილ გუნიას 90 წელი შეუსრულდებოდა // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №3 – 4 . – გვ. 302 – 305.

ეკონომისტის ცხოვრება და მეცნიერული კვლევის სფერო.

292. სილაგაძე ა. , ათანელიშვილი თ. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები საქართველოში (ა – მ) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 350 : ეკონომიკა 1 – 2 . – გვ. 7 – 30.

მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები.

293. სილაგაძე ა. , ათანელიშვილი თ. ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები საქართველოში (ნ – ჰ) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 7 – 26. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

მასალები საქართველოში მოღვაწე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორების ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ანბანის მიხედვით.

294. ყორღანაშვილი ლ. გრიგოლ თოდუა 75 წლისაა // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 157 – 158.

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. ეკონომიკური აზრის ისტორიის მკვლევარი. სამეცნიერო მოღვაწეობა.

295. ჩარეჯიშვილი ლ. , სარჩიმელია რ. მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების ერთიანი ეკონომიკური სისტემის შესაძლო ფუნქციონირების სტატისტიკა პოსტსაბჭოთა საქართველოში // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . – ტ. 9 . - №4 . – გვ. 224 – 245. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

ეკონომიკური პოლიტიკა განათლებისა და მეცნიერების სფეროში და მათი ურთიერთკავშირის გარდუვალობა.

296. ჩიქავა ლ. , ჩომახიძე დ. , კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე კორუფციის შესახებ // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №1 – 2 . – გვ. 3 – 12. რეზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

კორუფციის ნეგატიური როლი ქვეყნის ეკონომიკაში, მისი გამოვლენის ფორმები და დაძლევის გზები, ილიას შეხედულებები აღნიშნულ საკითხზე. პაპავას საგადასახადო კორუფციის ინდექსების ანალიზი.

297. ცანავა ნ. , ტაბატაძე მ. სტანდარტების საერთაშორისო სისტემა და საქართველო // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №3 – 4 . – გვ. 275 – 286. რეზ. ინგლ და რუს. ენებზე.

საქართველოში საერთო სტანდარტების შემოღების, ნებაყოფლობითი სერტიფიცირების დანერგვის პროცესი.

298. ხომერიკი თ. სახელმწიფო შესყიდვების საერთაშორისო რეგულირება // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 61 – 72. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

საქართველოში სახელმწიფო შესყიდვების რეფორმის მოკლე მიმოხილვა – ძირითადი მიღწევები, პრობლემები და რეკომენდაციები.

299. Исмаилов Э. О геополитических предпосылках экономической интеграции Центрального Кавказа // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №3 – 4 . – გვ. 123 – 152. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

Краткий исторический обзор интеграционных процессов на Кавказе за последние три века.

300. Лондаридзе А. История формирования грузинского геополитического и геоэкономического пространства // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 137 – 156.

Перспективы развития национальной, политической и экономической систем в условиях глобализации.

301. Akhvlediani A. International Trade and Economic Growth in Post-Communist Georgia // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . – ტ. 9 . - №3 . – გვ. 178 – 180. რეზ. ქართ. და რუს. ენებზე.

საერთაშორისო ვაჭრობა და ეკონომიკური ზრდა პოსტ-კომუნისტურ საქართველოში.

302. Gigineishvili N. Pass-through from Exchange Rate to Inflation : Monetary Transmission In Georgia // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2002 . – ტ. 10 . - №3 – 4 . – გვ. 214 – 234. რეზ. ქართ. და რუს. ენებზე.

გაცვლითი კურსის გავლენა ინფლაციაზე : მონეტარული ტრანსმისია საქართველოში.

303. Kakulia M. , Aslamazishvili N. Dollarization in Georgia : How sustainable is it's trends for a country // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . – ტ. 9 . - №4 . – გვ. 205 – 223. რეზ. ქართ. და რუს. ენებზე.

საქართველოს ეკონომიკის დოლარიზაციის დონისა და მამუტაბების განმაპირობებელი ფაქტორები, მისი თანმხლები და მოსალოდნელი შედეგები.

### სახელმწიფო და სამართალი

304. გულუა ბ. ფიქრები საქართველოს კონსტიტუციაზე . – თბ. , 2003 . – 138 გვ.

ნაშრომში თავმოყრილია გაზეთ «საქართველოს რესპუბლიკაში» გამოქვეყნებული ყოფილი ვიცე-პრემიერის ბაკურ გულუას წერილები საქართველოს კონსტიტუციაზე, სახელმწიფო-ტერიტორიულ მოწყობასა და ქვეყანაში სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის დაძლევაზე.

305. დავითაშვილი გ. სამედიატრო სასამართლო ანუ “რჯული” ხევისურეთში . – თბ. , 2001 . – 99 გვ.

ხევისურული ჩვეულებითი სამართლის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის – «რჯულის» საქმიანობის ძირითადი პრინციპები, მისი ორგანიზაცია და ამ ინსტიტუტთან დაკავშირებული პროცესუალური საკითხები ეთნოგრაფიული და გამოუქვეყნებელი საარქივო მასალების მიხედვით.



306. კალანდია ა. ქართული სამართლის ისტორიის საკითხები ანტიკურ-ადრებიზანტიური ხანის წერილობითი წყაროების მიხედვით . – თბ. , 2002 . – 242 გვ.

ნაშრომში განხილული ქართული სამართლის ისტორიის საკითხები მოიცავს ანტიკურ ხანას ძვ. წ. V საუკუნიდან ახ. წ. IV საუკუნემდე და ადრებიზანტიური ხანის IV-VII საუკუნეებს. ასახავს ქართველთა წინაპრებისა და მათ მეზობლად დასახლებული ტომების სამართლებრივი ცხოვრების წესებს.

307. ნიკოლაიშვილი გ. საქართველოს ციხეები . – თბ. , 2001 . – 207 გვ.

საქართველოს პენიტენციური სისტემის ისტორია და მიმდინარე რეფორმები XX - XXI საუკუნეების მიჯნაზე.

308. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები : ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი / ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა . – თბ. , 2005 . – 426 გვ.

309. სურგულაძე ი. ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევები : I . – თბ. , 2000 . – 260 გვ.

ნაშრომში განხილულია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო ძეგლები. გაანალიზებულია წყაროების კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი.

310. ქანთარია ბ. კონსტანტინე მიქელაძის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებანი . – თბ. , 2003 . – 431 გვ.

1917–21 წწ. საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიის წევრის, იურისტ კონსტანტინე მიქელაძის წვლილი და დამსახურება 1921 წლის კონსტიტუციის პროექტის შექმნაში. საქართველოს დემოკრატიული სახელმწიფოს პირველი კონსტიტუციისა და 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის შედარებითი ანალიზი.

311. ქართული კერძო სამართლის კრებული : წიგ. 1 / სარედ. კოლ. რ. მიგრიაული, ო. ზოიძე, ზ. ჭეჭელაშვილი; რედ. : მ. მენაღარიშვილი, ი. სესიაშვილი. – თბ. , 2004 . – 350 გვ.

კრებული მოიცავს გ. ცერცვაძის, ა. იოსელიანის, რ. მიგრიაულის, ო. ზოიძის, ზ. ჭეჭელაშვილის, ლ. ინწკირველისა და ნ. ჭიპაშვილის ნაშრომებს სამოქალაქო, სამეწარმეო, გაკოტრების სამართლის, სასამართლო და სანოტარო პრაქტიკაში; საზღვარგარეთის ქვეყნების ნორმატიული აქტების თარგმანებს.

312. შარაშენიძე ნ. «ვეფხისტყაოსანი» \_ ქართული სამართლის ძეგლი და წყარო . – თბ. , 2003 . – 43 გვ.

სამართლებრივი პრობლემებისა და საზოგადოებაში მოქმედი მორალური ნორმების მეტნაკლები სისრულით წარმოჩენა შოთა რუსთაველის პოემაში.

313. შოშიაშვილი ლ. ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში . – თბ. , 2003 . – 170 გვ.

ქორწინების რომაული და ქართული იურიდიული ინსტიტუტები, ქორწინების არსი, ფორმები, ქორწინებისათვის სავალდებულო პრინციპები და დამაბრკოლებელი გარემოებები რომაულ და ქართულ სამართალში.

314. ბეჟუაშვილი გ. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის როლი საქართველოს საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში // სამართალი . – 2001 . - №6 . – გვ. 61 – 69.

315. ბეროზაშვილი ზ. საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებებისა და მათი პრეკურსორების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ზოგიერთი სამართლებრივი პრობლემა // სამართალი . – 2002 . - №7 – 8 . – გვ. 43 – 51. ტექსტი ქართ., ინგლ. და რუს. ენებზე.

316. გვარამია ვ. ექსტრადიციის პრობლემები საქართველოში XX საუკუნის დამდეგს // სამართალი . – 2001 . - №8 . – გვ. 69 – 73.

20-იან წლებში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შემდეგ უცხოეთში გაქცეულ პირთა დაბრუნებისა და პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე.

317. გილიგაშვილი რ. , გონაშვილი ვ. პარლამენტის წევრის იმუნიტეტის ზოგიერთი პრობლემის შესახებ : შედარებითი ანალიზი // სამართალი . – 2001 . - №1 – 2 . – გვ. 12 – 17.

იმუნიტეტის მოცულობისა და ხანგრძლივობის საკითხი ქართული კანონმდებლობის ნორმებით.

318. გოგნიაშვილი ნ. ზოგიერთი რამ პროფესორ ბეჟან ხარაზიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ // სამართალი . – 2002 . - №2 . – გვ. 31 – 32. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

მეცნიერ-იურისტის ბ. ხარაზიშვილის (1918 – 1986 წწ.) პიროვნული და პროფესიული ღირსებები.

319. გუგავა დ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზაციის საწინააღმდეგო საერთაშორისო ხელშეკრულებების როლი საქართველოში უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში // სამართალი . – 2002 . - №5 – 6 . – გვ. 46 – 49. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

320. გურგენიძე ვ. საარჩევნო სისტემის გარდაქმნა პოსტსაბჭოურ საქართველოში : (პოლიტიკური სისტემის ასპექტი) // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 10 – 13.

არჩევნები, როგორც პოლიტიკური სისტემის განახლების ტექნოლოგია და მისი განხორციელების კრიტერიუმები.

321. თაბაგარი ა. გადახდის ბრძანება – ნოვაცია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში // სამართალი . – 2001 . - №9 – 10. გვ. 43 – 50.

სასამართლო გადაწყვეტილების ერთ-ერთი სახის, გადახდის ბრძანების ინსტიტუტი საქართველოში. მისი ჩამოყალიბების ისტორია და პროცესუალური ნორმები.

322. თორდია ვ. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მართლმსაჯულების მდგომარეობის შესახებ // სამართალი . – 2001 . - №4 . – გვ. 53 – 56. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

აფხაზეთის სასამართლოების განსხვავებული იურისდიქციით ფუნქციონირების შესახებ პრეზიდენტის 1997 წლის 27 ნოემბრის ბრძანებულების საფუძველზე.

323. თუმანიშვილი გ. (უმცროსი). ქართული სამართლის ძეგლების ტექსტებში სიტყვა «ოჯახი»-ს პირველად გამოყენების საკითხთან დაკავშირებით // სამართალი . – 2002 . - №5 – 6 . – გვ. 74. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

პირველად სამართლებრივი ხასიათის ტექსტში ტერმინი «ოჯახი» ნახსენებია 1774 წლით დათარიღებულ «მორიგის ლაშქრობის განაჩენში».

324. იმნაძე დ. ქონების უპატრონოდ ცნობა // სამართალი . – 2001 . - №1 – 2 . – გვ. 32 – 35.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით (1997 წ. 14 ნოემბერი).

325. ინწკირველი გ. ქართველი იურისტის საერთაშორისო აღიარება // სამართალი . – 2001 . - №1 – 2 . – გვ. 85 – 86.

საქართველოს იურისტთა კავშირის თავმჯდომარის ჟურნალ «სამართლის» რედაქტორის პაატა ცნობილას მსოფლიო იურისტთა ასოციაციის ეროვნული პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნასთან დაკავშირებით. თან ერთვის მსოფლიო იურისტთა ასოციაციის პრეზიდენტის დანიელ მონაკოს მილოცვა.

326. კეკელიძე დ. სააპელაციო საჩივრის დაშვება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში // სამართალი . – 2001 . - №11 . – გვ. 35 – 37.

სააპელაციო წესით გასაჩივრებისათვის აუცილებელი პირობების განხილვა.

327. კვაშილავა ა. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით // სამართალი . – 2001 . - №11 . – გვ. 65 – 67.

328. ლობჯანიძე გ. უკანონო შვილის პრობლემა გაერთიანებული და შემდგომი პერიოდის ქართულ სამართალში // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 102 – 106.

უკანონოდ შობილის უფლებრივი მდგომარეობის საკითხი ძველი ქართული სამართლის ძეგლების მიხედვით. სხვადასხვა ეპოქაში ამ პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომის თავისებურებათა ანალიზი.

329. მაჩიტაძე მ. ქართული ნოტარიატის ისტორიიდან // სამართალი . – 2001 . №9 – 10 . – გვ. 36 – 42.

წერილობითი წყაროებისა და სამართლის ძეგლების მიხედვით.

330. მეგრელიშვილი მ. აჭარის ხელისუფლების დამოკიდებულება ყოფითი ტრადიციებისა და რელიგიური წეს-ჩვეულებებისადმი XX საუკუნის 20-იან წლებში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 58 – 65. რეზ. რუს. ენაზე.

ანტირელიგიური პროპაგანდა, სისხლის აღების წინააღმდეგ ბრძოლა, «ქორწინებისა და ოჯახის შესახებ» ახალი კანონის მიღება, რომლითაც აიკრძალა არასრულწლოვანთა ქორწინება, სისხლის აღრევა, ორგოლიანობა და სხვა.

331. მინდაძე ო. , ჩაჩხიანი რ. უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის განხორციელების პრობლემა საერთაშორისო და ქართულ სამართალწარმოებაში // სამართალი . – 2001 . - №11 . – გვ. 58 – 61.

უდანაშაულობის პრეზუმფციის სამართლებრივი, ფილოსოფიური და სოციოლოგიური ასპექტები.

332. ნადარეიშვილი გ. «საქართველო თავად ცოტა იყო და მერმე მრავლად გაყოფილი»... // სამართალი . – 2001 . - №5 . – გვ. 5 – 9.

ინტერვიუ იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ გიორგი ნადარეიშვილთან ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო წყობილების, ქართული ხასიათის, თანამედროვე სამართლებრივი ტერმინოლოგიის შესახებ და სხვა.

333. ნადარეიშვილი გ. ქორწინების მოდესტინუსისეული განმარტება ქართულ «დიდ სჯულისკანონში» // სამართალი . – 2001 . - №6 . – გვ. 70 – 73.

მე-3 ს-ის პირველ ნახევარში ძველ რომში მოღვაწე იურისტის ჰერენნიუს მოდესტინუსის განმარტებით – «ქორწინება, ეს არის ქალ-ვაჟის ერთობა მთელი სიცოცხლის მანძილზე, მათი ღვთაებრივი და ადამიანურ უფლებათა კავშირი».

334. ნიჟარაძე რ. სასჯელები აღბუღას სამართლის მიხედვით // სამართალი . – 2001 . - №6 . – გვ. 74 – 81.

აღბუღას სამართალი, როგორც ბექას სამართლის პრინციპების გამგრძელებელი და მისი შემადგენელი ნაწილი.

335. ნიჟარაძე რ. სასჯელის უმაღლესი ზომა ძველ ქართულსა და უცხოურ სამართალში : (ვახტანგ VI – ის სამართლის წიგნთა კრებულის მიხედვით) // სამართალი . – 2000 . - №8 – 9 . – გვ. 94 – 97.

336. ნიჟარაძე რ. სასჯელის უმაღლესი ზომა ძველი ქართული და ებრაული სამართლის წიგნების მიხედვით // სამართალი . – 2001 . - №5 . – გვ. 85 – 89.

ეხება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულს, რომელიც შედგება როგორც ქართული, ასევე უცხოური სამართლის წიგნებისგან.

337. ნიჟარაძე რ. ძველი ქართული სამართლის წიგნების ურთიერთმიმართების საკითხი // სამართალი . – 2000 . - №10–11–12 . – გვ. 18 – 21.

ბაგრატი III-ის (XI ს.), ბექა-ალბულას (XIII-XIV ს.), გიორგი ბრწყინვალის (XIV ს.), კათოლიკოსთა (XVI ს.), ვახტანგ VI-ის (XVIII ს. დასაწყისი) და დავით და იოანე ბატონიშვილების (XVIII ს.) სამართლის წიგნების ანალიზი.

338. ოვსიანიკოვა ნ. პარლამენტის წევრის სტატუსთან შეუთავსებლობის საკითხები საქართველოს კანონმდებლობაში // სამართალი . – 2000 . - №8–9 . – გვ. 11 – 17.

339. პისმენი დ. , გაბისონია ი. ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტებისა და მექანიზმების ინტეგრირება უკრაინისა და საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში : (ზოგიერთი აქტუალური ასპექტი) // სამართალი . – 2001 . - №9–10 . – გვ. 68 – 73.

340. სალხინაშვილი მ. სამსახურებრივი ზნეობის დაცვის პრობლემები საქართველოს კანონმდებლობით // სამართალი . – 2002 . - №4 . – გვ. 38 – 41. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

დისციპლინური გადაცდომების საქმეთა წარმოება.

341. სალხინაშვილი მ. , თვაური ე. ლტოლვილის სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის პროცედურები საქართველოს კანონმდებლობით // სამართალი . – 2002 . - №5–6 . – გვ. 9 – 13. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

342. ტურავა მ. სისხლის სამართალი : ზოგადი ნაწილის მიმოხილვა . – თბ. , 2001 . – 149 გვ.

რეც. : კუტალია ლაშა-გიორგი. დანაშაულის სისტემა დოქტ. მ. ტურავას ნაშრომის «სისხლის სამართალი (ზოგადი ნაწილის მიმოხილვა)» მიხედვით // სამართალი . – 2001 . - №1 – 2 . – გვ. 36 – 39.

343. ფიფია გ. სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოების ურთიერთობის კომპეტენციური საფუძვლები საქართველოში // სამართალი . – 2002 . - №7–8 . – გვ. 22 – 26. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

მმართველობის სისტემის თითოეული დონის, რგოლისა და კონკრეტული ორგანოს კომპეტენციის განსაზღვრა და სათანადო უფლებამოსილების მინიჭება.

344. ფუტყარაძე ი. «ჯამაგირის ყმა» // სამართალი . – 2000 . - №8–9 . – გვ. 86 – 91.

პირადი ქირავნობის, ადამიანის დაქირავების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია და დაქირავებული პირის სამართლებრივი მდგომარეობა ძველ ქართულ სამართალში.

345. ქართველი მეცნიერის უდიდესი საერთაშორისო აღიარება // სამართალი . – 2001 . - №8 . – გვ. 5.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის გივი ინჭკირველის სახელის დაფიქსირება წიგნში «მსოფლიო მნიშვნელობის 1000 ლიდერი მეცნიერების დარგში» (წიგნი გამოსცა ამერიკის ბიოგრაფიის ინსტიტუტმა).

346. ქოქრაშვილი ქ. საკორპორაციო სამართლის ცნება და მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ სამართალში // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 24 – 25.

347. ყურუა ნ. ნოვაცია ქართულ სამოქალაქო კანონმდებლობაში // სამართალი . – 2001 . - №9 – 10 . – გვ. 51 – 54.

გადახდის ბრძანება – ნოვაცია, მისი ნიშნები და შეთანხმებითი ვალდებულებები. ნოვაციად იწოდება ხელშეკრულება, რომლითაც არსებული ვალდებულება წყდება მის ნაცვლად ახალი ვალდებულების დადგენით.

348. შევარდნაძე ვ. რეკომენდაციები საქართველოში თავშესაფრის მაძიებელ პირებთან და ლტოლვილებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაზე საერთაშორისო სამართლის ნორმებთან და არსებულ სტანდარტებთან // სამართალი . – 2002 . - №2 . – გვ. 12. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

349. შეყელაძე ზ. კორუფცია და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა საქართველოში // სამართალი . – 2001 . - №6 . – გვ. 38 – 42.

350. შოშიაშვილი ლ. ნებაყოფლობითი ქორწინება; ქორწინებაზე თანხმობა (ნებართვა) რომაულ და ძველქართულ სამართალში // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 106 – 111.

წერილობითი წყაროებისა და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

351. შოშიაშვილი ლ. ნიშნობა (დაწინდვა) ძველქართულ და რომაულ სამართალში // სამართალი . – 2000 . - №10–11–12 . – გვ. 22 – 28.

ნიშნობის წარმოშობის ინსტიტუტი საქართველოში, მისი თავისებურებანი და წეს-ჩვეულებანი საკანონმდებლო და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

352. შოშიაშვილი ლ. ქორწინების არსი და ფორმები რომაულ და ძველქართულ სამართალში // სამართალი . – 2002 . - №2 . – გვ. 51 – 56; №3 . – გვ. 49 – 53. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

353. ჩხიტაური ა. საბაჟო კანონმდებლობის განვითარების ეტაპები საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ : (ზოგადი მიმოხილვა) // სამართალი . – 2002 . - №3 . – გვ. 35 – 37. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

მე-20 ს-ის 90-იანი წლები.

354. ცნობილაძე პ. ქართველ იურისტთა აღიარებული თავკაცი 75 წლისაა // სამართალი . – 2001 . - №1–2 . – გვ. 5 – 6.

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორ გივი ინჭკირველის იუბილესთან დაკავშირებით.

355. ჯავახიშვილი ნ. ფულის გაყალბების ისტორიიდან საქართველო-ში : (1918 – 1924 წწ.) // სამართალი . – 2000 . - №8–9 . – გვ. 98 – 99.

ამ ტიპის სისხლის სამართლის დანაშაულის შემთხვევების შესახებ.

356. ჯალაბაძე დ. შურისძიების ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტი ფშავის ხალხურ (ჩვეულებით) სამართალში // სამართალი . – 2000 . - №10–11–12 . – გვ. 29 – 41.

შურისძიებით მკვლელობის («სისხლის აღება») და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი თავისებურების განხილვა არსებული სამეცნიერო-ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით.

357. ჯინჭარაძე ქ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მდგომარეობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 19 – 21.

საზღვრებთან დაკავშირებული ხელშეკრულებების დადების, უშუალოდ საზღვრის ხაზის იურიდიული გაფორმების აუცილებლობა.

### ადმინისტრაციული მმართველობა

358. ბოსტოლანაშვილი დ. სასოფლო თვითმმართველობისა და მმართველობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოში XIX საუკუნის მეორე ნახევარში : (სიღნაღის მაზრის მაგალითზე) // სამართალი . – 2001 . - №5 . – გვ. 90 – 95.

359. ფიფია გ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი საქართველოში // სამართალი . – 2001 . - №12 . – გვ. 14 – 18.

მმართველობის ორგანოს სამართლებრივი სტატუსი და მისი შემადგენელი ნაწილები : სოციალური დანიშნულება, უფლებამოსილება, ორგანიზაციის პრინციპები, მოდელი და ურთიერთობები.

### სამხედრო საქმე

360. დავით ცხოვრებაძე : მონოგრაფია / მოგონებებზე მუშაობ-და : დ. მშვენიერაძე; რედ. : ლ. სეთურიძე . – თბ. , 2005 . – 57 გვ.

საბრძოლო თვითმფრინავის გადარჩენისათვის გმირულად დაღუპული, პირველი ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოებული სამხედრო მფრინავის დავით ცხოვრებაძის ცხოვრება და საქმიანობა.

361. ლომაძე ე. ხუსეინ ბეჟანიძე მხედართ-უფროსი და მოქალა-ქე . – ბათუმი. , 2000 . – 60 გვ.

სამამულო ომის მონაწილის, პოლკოვნიკ ხ. ბეჟანიძის ცხოვრება და მის მიერ განვლილი საბრძოლო გზა, უახლოესი ადამიანების მოგონებები და ახალი შტრიხები ხ. ბეჟანიძის პორტრეტისათვის.

362. ყეინაშვილი ი. რაინდულო საქართველოვ, სდექ! . – თბ. , 2002 . – 235 გვ.

კრებული მოიცავს მ. ცაგარლის, ზ. ქორიძის, ვ. ლიქოკელის, დ. ახვლედიანის, გ. გოგაშვილის და ნ. იდოიძის ნაშრომებს ქართული საბრძოლო ხელოვნების სხვადასხვა სტილის სახეობებზე: ხალხური, მთიელთა, დიდებულთა და თბილისური.

363. სიორიძე მ. პირველ მსოფლიო ომში ქართველთა მონაწილეობის საკითხისათვის // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . \_ 2003 . - №12 . – გვ. 32 – 40. რეზ. რუს. ენაზე.

მონაცემები პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ქართველ ოფიცრებსა და გენერალიტეტზე.

### განათლება

364. აფაქიძე ფ. , ტულუში ა. მასალები განათლების ისტორიისათვის სამეგრელოს სამთავროში. – ზუგდიდი . , 2001 . – 64 გვ.

სწავლა-განათლების საქმე სამეგრელოს სამთავროში ზუგდიდის მუზეუმის ხელნაწერთსაცავში გამოვლენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით. ნაშრომს თან ერთვის დოკუმენტები.

365. გობრონიძე ა. იაკობ გოგებაშვილი და აჭარა. – ბათუმი. , 2001 . – 295 გვ.

იაკობ გოგებაშვილის შეხედულებები ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული სკოლის შესახებ. აჭარის გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული დახასიათება. ბათუმის პირველი ქართული სკოლა და მისი მოსწავლე მემედ აბაშიძე.

366. გოდერიძე ლ. კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში: (ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები) . – თბ. , 2005 . – 595 გვ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართული დრამატული, ქართული კულტურის მოყვარულთა, ქართველ ქალთა და სხვა ორგანიზაციების როლი ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებისა და ეროვნული კონსოლიდაციისათვის ბრძოლაში.

367. ვაჭრიძე პ. ხონის სამასწავლებლო (საოსტატო) სემინარია: 1881 – 1921 . – თბ. , 2000 . – 241 გვ.

ოფიციალური სახელწოდება: «ქუთაისის სამასწავლებლო სემინარია (დაბა ხონში)». სასწავლებლის ისტორია საარქივო ფონდში დაცული მასალების მიხედვით. წიგნს თან ახლავს ფოტომასალა.



368. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავლისათვის . – თბ. , 2006 . – 63 გვ.

მიტროპოლიტ ანანია ჯავარიძისა და იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის თვალსაზრისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევასთან დაკავშირებით. რექტორობის კანდიდატის ტარიელ ფუტკარაძის საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

369. მეტრეველი რ. უნივერსიტეტი დღეს . – თბ. , 2003 . – 67 გვ.

ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 85 წლისთავთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოდგენილია უნივერსიტეტის მიერ განვლილი გზა, სამეცნიერო მუშაობის ძირითადი მიმართულებები, სტუდენტთა ინტერესები და საქმიანობა.

370. გამყრელიძე ს. საქართველოში იურიდიული განათლების რეფორმის ზოგიერთი საკითხი // სამართალი . – 2002 . - №5-6 . – გვ. 14 – 15. ტექსტი ქართ. , ინგლ. და რუს. ენებზე.

მოსაზრება შერეული რომანულ-გერმანული იურიდიული განათლების შემოღების მოდელზე, რომელიც ერთიანი ევროპული სამართლებრივი სივრცის შექმნას ითვალისწინებს.

371. რატინი მ. განათლების გეოგრაფიის თანამედროვე საკითხები // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია. გეოლოგია . – გვ. 258 – 264. რუზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სასწავლო დაწესებულებების მდგომარეობა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოს რეგიონების მიხედვით. განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმა, განათლებისათვის გამოყოფილი სახელმწიფო სახსრების შემცირება, კერძო სკოლების მომრავლება, ბაგა-ბაღების მძიმე მდგომარეობა.

372. სართანია ვ. განათლების სისტემა : თანამედროვე მოთხოვნები // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია . – 2001 . - №3 . – გვ. 71 – 80. რუზ. ინგლ. და რუს. ენებზე.

განათლების რეფორმა საქართველოში და მისი ამოცანები დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით.

### ეთნოგრაფია

373. არღვლიანი ი. ეთნოლოგიური ძიებანი. სვანეთი I . – თბ. , 2003 . – 51 გვ.

სახალხო და რელიგიური დღესასწაულების: «ლიჩედურალი» ანუ «ლამპრობა», «ლითოდერი» და «მეზირის» კულტი სვანეთში.

374. ერიაშვილი ჟ. ტრადიციული სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტების გენეზისი და ძველი მოსახლეობის ტომობრივი სტრუქტურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში . – თბ. , 2001 . – 235 გვ.

ავტორის მიერ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ველზე შეკრებილი, საარქივო ეთნოგრაფიული მასალის, ისტორიული წყაროების, ენათმეცნიერული, სოციოლოგიური, არქეოლოგიური, ეთნონიმის სამეცნიერო ლიტერატურის კვლევის შედეგად შესწავლილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში დამოწმებული უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტების –Γელოსანის, მორიგე / მარიგე / მერიგისა და Γევისბერის გენეზისის საკითხები.

375. ზაქარიაძე ნ. ტრადიციული დემოგრაფიული ფასეულობები საქართველოში . – თბ. , 2005 . – 55 გვ.

ოჯახის ძირითადი ფორმები. საქართველოსათვის ტრადიციული დემოგრაფიული ფასეულობები: ოჯახი, მშობლები, ბავშვები და სხვ. დიდი ოჯახები სვანეთსა და თუშეთში; უცხოელი მოგზაურების დემოგრაფიული ცნობები საქართველოს შესახებ.

376. თეხელიშვილი ს. სუფრის ისტორია . – თბ. , 2000 . – 294 გვ.

ქართულ სუფრასთან დაკავშირებული რიტუალები და ტრადიციები, დიონისეს კულტი და თამადის ინსტიტუტი საქართველოში, ქორწილის სიმბოლოები, მეფის, სოფლისა და ქალაქის სუფრის მონათესავე და განმასხვავებელი ნიშნები, ცნობილი ადამიანების სადღეგრძელოები და სხვ. მოძიებული მასალის საფუძველზე ავტორი ცდილობს აღადგინოს კავშირი და წონასწორობა ძველსა და დღევანდელ სასუფრო კულტურას შორის.

377. კანდელაკი მ. ქართველ მთიელთა ტრადიციული ყოფის ისტორიიდან : (უცხოეს გათავისების წესი) . – თბ. , 2001 . – 80 გვ.

XX საუკუნის 20–30 წლებამდე ქართველ მთიელთა ტრადიციულ ყოფაში შემორჩენილი «უცხოეს გათავისების» წესი – სხვა თემ-სოფლიდან გადმოხვეწილი კაცის ახალ სოციალურ კოლექტივში ადაპტაციის პროცესი, რომელიც სისხლ-მესისხლეობის უძველეს ტრადიციასთან არის დაკავშირებული.

378. მელიქიშვილი ლ. ეთნოგრაფია თუ ეთნოლოგია . – თბ. , 2000 . – 68 გვ.

საბჭოთა ეთნოგრაფიისა და დასავლური ეთნოლოგიის საგნის რაობა, მათი ურთიერთმიმართება. ქართული ეთნოლოგიური სკოლის პრობლემები და მისი განვითარების გზები.

379. მიქელაძე მ. ტოტემი და ძველი სამყარო : «კავკასია – ხმელთაშუა ზღვა – პირენეები»... – თბ. , 2001 . – 130 გვ.

წიგნი ეხება მსოფლიო ცივილიზაციის ურთულეს საკითხებს მითებზე, ლეგენდებზე, ჰიპოთეზებსა და ვარაუდებზე დაყრდნობით. მოხმობილია ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ხასიათის მასალა და ავტორის მიერ ქართულ

პერიოდიკაში სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული სტატიები ქართული ტოტემის ირგვლივ.

380. სურგულაძე ი. მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში . – თბ. , 2003 . – 334 გვ.

კრებული წარმოადგენს უძველესი წარმართული სარწმუნოების, წინაქრისტიანული ხანის რელიგიური აზროვნების რეტროსპექტული წარმოჩენისა და თანამედროვე მეცნიერულ მოთხოვნათა შესაბამისად გააზრების ცდას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიცვალებულის კულტს და სულეთზე არსებულ რწმენა-წარმოდგენებს, ზოომორფულ მოტივებსა და სიმბოლიკას, საწესო სუფრების რელიგიურ სემანტიკას, ამინდის შემცველი უძველესი ადგილობრივი ღვთაებების თავისებურებებს და ეთნიკური მემკვიდრეობის სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

381. ჩიტაია გ. შრომები : 5 ტომად . – თბ.

ტ. 1. ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა / [შემდგ. – რედ. : თამილა ცაგარეიშვილი]. – 1997 . – 428 გვ.

ტ. 2. ქართველი ხალხის ეთნოგენეზი და კულტურულ-ისტორიული პრობლემები / [შემდგ. – რედ. : თამილა ცაგარეიშვილი] . – 1000 . – 447 გვ.

ტ. 3. XX ს. ქართული ეთნოგრაფია. საველე-ეთნოგრაფიული ძიებანი, მეთოდოლოგია / გამოსაც. მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა; [რედ. : რ. მეტრეველი] . – 2001 . – 644 გვ.

ტ. 4. საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში «სვეტები» / გამოსაც. მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა [რედ. : რ. მეტრეველი] . – 2001 . – 311 გვ.

ტ. 5. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნარკვევები, წერილები, რეცენზიები / გამოსაც. მოამზადეს ზურაბ წერეთელმა და თამილა ცაგარეიშვილმა [რედ. : რ. მეტრეველი]. – 2001 . – 544 გვ.

382. ცანავა რ. მითორიტუალური მოდელები, სიმბოლოები ანტიკურ მწერლობაში და ქართული ლიტერატურულ-ეთნოლოგიური პარალელები . – თბ. , 2005 . – 393 გვ.

მსხვერპლშეწირვის მითორიტუალური მოდელის ანალიზი მხატვრულ ლიტერატურაში.

383. წიწუაშვილი შ. «ალილათ დამ \_ სისხლის შარი» ცილისწამებაა . – თბ. , 2001 . – 31 გვ.

ანტისემიტიზმის ერთ-ერთი სახეობის ე.წ. რიტუალური ბრალდების (ალილათ დამ) წარმოშობისა და გავრცელების ისტორია დასავლეთ ევროპაში, რუსეთის იმპერიასა და საქართველოში.

384. წიწუაშვილი შ. ძმამან ძმისა უკეთ იცის . – თბ. , 2001 . – 52 გვ.

XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის ქართული პრესა ქართველი ებრაელების რელიგიის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

385. ხიდაშელი მ. სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში . – თბ. , 2001 . – 174 გვ.

ნაშრომში მითოლოგიაზე დაყრდნობით შესწავლილია არქაული სულიერი კულტურის თავისებურებანი, სამყაროს გააზრება ამიერკავკასიის ადრემიწათმოქმედი ტომების სულიერ კულტურაში, არქაული საქართველოს მსოფლხატი, მითოსური ცნობიერება და ქართული ხალხური მსოფლადქმის ზოგიერთი საკითხი.

386. Окинашвили Н. Был ли клятвенный союз в кавказском высокогорье? – М. , 2000 . – 241–265 с. / Отд. Оттиск из книги : Человек и его близкие на Западе и Востоке Европы (до начала нового времени). Ксерокопия.

Культура поминовений в Грузии. Исследование распространенных в горной области Грузии – Сванетии – добровольных клятвенных союзов, их основные характерные черты, правовые и охранные функции, внутренний порядок по материалам сванских поминальных записей.

387. დავარაშვილი ზ. პროფესორ გერცელ ჩაჩაშვილის როლი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის კვლევაში // საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები . – 2006 . – ტ. 4 . – გვ. 41 – 52. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეთნოგრაფის წვლილი ხალხური ფეიქრობის ხერხებისა და ტექნოლოგიის საკითხების შესწავლაში. მეცნიერის გამოუქვეყნებელი ნაშრომის \_ «ქართული ფეიქრობა საქართველოში» (საოჯახო წარმოების კულტურა) \_ განხილვა.

388. დემეტრაშვილი ა. ხალხური ნიშნები ამინდის შესახებ // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია. გეოლოგია . – გვ. 245 – 250. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

აპრილის შუა რიცხვებში «ნასესხები» დღეების შესახებ ხალხში გავრცელებული გადმოცემის სისწორის შესამოწმებლად თბილისის, ქუთაისისა და ჩაქვის მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების შეჯერება.

389. ზოსიძე ნ. აჭარული საქორწინო ტრადიციების ასახვა ქართულ მხატვრულ ლიტერატურაში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 150 – 171. რეზ. რუს. ენაზე.

მხატვრულ ლიტერატურასთან ერთად სტატიაში გამოყენებულია ეთნოგრაფიული ნაშრომები და XIX-XX სს. ქართულ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მონაცემები.

390. კახიძე ნ. ხელოსანთა ვინაობა და ეთნიკური შემადგენლობა : (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით) // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 139 – 150. რეზ. რუს. ენაზე.

წერილობითი წყაროებისა და ზეპირი გადმოცემების მიხედვით (X – XIX სს.).

391. მაე ჟან-პიერ. დაცვის წინარე დასკვნა ქალბატონი ნანა გუგუშვილის დისერტაციასთან დაკავშირებით \_ «ქალის სახე შუა საუკუნეების საქართველოში (ქორწინება, ოჯახი, განქორწინება)» თბილისი, 2002 წ. მარტი, 158 გვ. // თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . \_ 2005 . – ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . \_ გვ. 330 – 332. ტექსტი ფრანგ., ქართ. და რუს. ენებზე.

392. მურადიანი პ. გამოხმაურება ნანა გუგუშვილის დისერტაციის ავტორეფერატზე «ქალის სახე შუა საუკუნეების საქართველოში (ქორწინება, ოჯახი, განქორწინება)» თბ. , 2002 // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . \_ ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . – გვ. 332. ტექსტი რუს. ენაზე.

393. ნადირაძე ე. სერგი მაკალათია \_ საქართველოს ეთნოლოგიის მკვლევარი // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2005 . \_ ტ. 359 : ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოლოგია . \_ გვ. 245 – 250. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

სამეცნიერო მოღვაწეობა.

394. ფუტყარაძე თ. , მოწყობილი ს. , ფუტყარაძე ნ. ღორჯომის ხეობის საველე ექსპედიციის ეთნოგრაფიული სექტორისა და სტუდენტთა საველე პრაქტიკის ანგარიში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . – 2003 . - №12 . – გვ. 178 – 184.

ხულოს რაიონის ღორჯომის თემის სოფლებში შეგროვილი მასალები ტრადიციულ-ყოფითი კულტურის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

395. შილაკაძე მ. ქართული მუსიკალური ფოლკლორისტიკის საკითხები უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში : (სილვია ბოლ ზემპის ნაშრომის გამო) // სასულიერო და საერო მუსიკის მრავალხმიანობის პრობლემები . – თბ. , 2001 . – გვ. 271 – 280. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

შვეიცარიელი ქართველოლოგის მიერ ჟურნალ «გეორგიკაში» გამოქვეყნებული ნაშრომი სვანური საწესო ზარის შესახებ, სათაურით: «მრავალხმიანი ტირილი. დაკრძალვის სიმღერა სვანეთში».

396. ცანავა რ. მოკლული მტრის დაუმარხავად დატოვების ადათის რიტუალური ასპექტი : (ძველბერძნულ-ქართული პარალელები) // Metavolia . – თბ. , 2001 . – გვ. 262 – 291. რეზ. ინგლ. ენაზე.

### გარემოს დაცვა. ეკოლოგია

397. ცაგარეიშვილი თ. ტრადიციული კულტურა და ეკოსისტემები = Традиционная культура и экосистемы = Traditional Culture and the Ecosystem Preservation . – თბ. , 2000 . – 195 გვ.

ეკოლოგიური ასპექტის შემცველი კულტურულ-ისტორიული საკითხების, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის პრობლემების კვლევა, 1999-2000 წწ. არაგვის ხეობაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ და საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით.

398. ბაბუნაშვილი გ. , ხუტაშვილი მ. ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა . – თბ. , 2003.  
რეც. : ჩაგელიშვილი რ. // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 .  
– ტ. 356 : ეკონომიკა 3 – 4 . – გვ. 161 – 163.

399. ჩინჩალაძე ნ. რეკომენდაციები და წინადადებები მდ. ჭოროხის ეკოლოგიურად უსაფრთხო გამოყენებისათვის // სამართალი . – 2001 . - №9–10. \_ გვ. 28 – 31.

თურქეთის რესპუბლიკის მიერ მდ. ჭოროხის ენერგორესურსების ათვისებისა და ამით გამოწვეული ეკოლოგიური საფრთხის შესახებ აჭარის შავიზღვისპირა ზოლში.

### მათემატიკა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი

400. ბენედიქტე ბალავაძე / [რედ.–შემდგ. : რ. ჩიქოვანი, გ. ჩიმაკაძე] . – თბ. , 2001 . – 67 გვ.  
გეოფიზიკოს ბენედიქტე ბალავაძის დაბადებიდან 90 წლისთავთან დაკავშირებით 1999 წლის 25 ივნისს თბილისის უნივერსიტეტში გამართულ სხდომაზე წაკითხული მოხსენება, მისალოცი სიტყვები, იუბილარის ინტერვიუ და სხვ. კრებულს თან ახლავს ფოტომასალა.

401. გივი ხუციშვილი 80 / [რედ. რ. ჩიქოვანი] . – თბ. , 2001 . – 73 გვ.  
ფიზიკოს გ. ხუციშვილის ბიოგრაფიული ცნობები და მოგონებები მასზე დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით. ტექსტს თან ახლავს ფოტომასალა.

402. დიდმანიძე ე. საქართველოს პეპლების ზოგიერთი ენდემური, რელიქტური და სხვა იშვიათი სახეობები : კატალოგი . – თბ. , 2005 . – 85 გვ.

ნაშრომში მიმოხილულია ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ქერცლფრტოსანთა ფონდში დაცული პეპლების იშვიათი და უნიკალური სახეობები. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

403. დურმიშიძე ს. წარსულის ეპიზოდები . – თბ. , 2000 . – 203 გვ.  
ბიოქიმიკოსის, აკადემიკოს სერგი დურმიშიძის ბავშვობა, ყრმობა, სამეცნიერო საქმიანობა, გამოჩენილ ადამიანებთან ურთიერთობები, მსოფლიო ფორუმებში მონაწილეობა, უკანასკნელი ჩანაწერები. სიტყვები და მოგონებები მასზე.

404. ეფრემიძე თ. გრიგოლ ხაჭალია და მისი გარემოცვა . – ქუთაისი, 2000 . – 239 გვ.  
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის უნივერსიტეტის მათემატიკის კათედრის პროფესორის ცხოვრება, სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა. ახლავს გრ. ხაჭალიას სამეცნიერო შრომების ბიბლიოგრაფია.

405. ზუხბაია ვ. , ზუხბაია რ. აფხაზეთის მომხიბვლელი ბუნება . – თბ. , 2001 . – 95 გვ.  
აფხაზეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება : რელიეფი, გეოლოგიური აგებულება, სტიქიურ-ბუნებრივი მოვლენები, მცენარეულობა, ცხოველთა სამყარო, ლანდშაფტები, მდინარეები და ტბები.
406. კერესელიძე ჯ. , ლორია მ. , ელბაქიძე მ. ბოტანიკური ბაღი 365 წლისაა . – თბ. , 2001 . – 187 გვ.  
კავკასიაში პირველი და უძველესი ბოტანიკური და სოფლის მეურნეობის მეცნიერული კვლევის ცენტრის, თბილისის ბოტანიკური ბაღის ისტორია, მდებარეობა, რელიეფი, მცენარეთა კოლექციები და თანამედროვე მდგომარეობა. აკადემიკოსების – ვასილ გულისაშვილის, მამია გოგოლიშვილისა და იაკობ მედვედევის წვლილი ბაღის ისტორიაში. გამოცემა ეძღვნება ბაღის პირველი დირექტორის ადოლფ ქრისტიან რულოვის იუბილეს.
407. მამია გოგოლიშვილი = Мамия Гоголишвили = Mamia Gogolishvili . – თბ. , [წ. ა.] . – 55 გვ.  
ბოტანიკოსის ბიოგრაფია და სამეცნიერო მოღვაწეობა. მისი ღვაწლი ბოტანიკური ბაღის აღორძინების საქმეში.
408. მეცნიერი და პედაგოგი ოთარ ხაზარაძე, 1933 – 1988 : (მოგონებათა კრებული) / რედ. – გამომც. : კ. კუდავა . – თბ. , 2001 . – 123 გვ.  
ო. ხაზარაძის როლი საქართველოში ფიზიკის სწავლების ეროვნული ტრადიციების დამკვიდრებაში.
409. ქავთარაძე ნ. ვახტანგ პარკაძე . – თბ. , 2003 . – 48 გვ.  
ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის, მეცნიერების ისტორიის პარიზის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსის ვ. პარკაძის ცხოვრებისეული გზა.
410. ქვრივიშვილი ო. ადამიანით გაზომილი სამყარო . – თბ. , 2001 . – 128 გვ.  
განხილულია ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამი გამოკვლევა : «მათემატიკა და ბიბლიური ისტორია», «ადამიანი ყოველივეს საზომია» და «განზომილების ანთროპომეტრული სისტემა საქართველოში».
411. ქოქრაშვილი ზ. ბიბლიურ პატიოსან ქვათა და ეტლთა შესახებ . – [ად. ა.] , 2001 . – 128 გვ. ტექსტი ქართ. და რუს. ენებზე.  
ქართული ასტროლოგიური აზროვნება, ეტლთა და მნათობთა დახასიათება, პატიოსანი ქვის კულტურა უძველეს საქართველოში და პატიოსანი ფერადი ქვების სამკურნალო თვისებები კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საეკლესიო ფონდში დაცული უძველესი ხელნაწერების მიხედვით.

412. ჩანგაშვილი გ. კატასტროფული ღვარცოფები და მათი საზიანო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებები საქართველოში : (კრებული) . – თბ. , 2000 . – 97 გვ.

კახეთში, ქვემო სვანეთსა და სამეგრელოს ზოგიერთ რეგიონში კატასტროფული ღვარცოფების ინტენსივობა, ზარალიანობა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები. ტექსტს ახლავს ფოტომასალა.

413. აკადემიკოსი რევაზ გამყრელიძე // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 353 : გამოყენებითი მათემატიკა. კომპიუტერული მეცნიერებანი (22 – 23) . – გვ. 137 – 142. ტექსტი ქართ. და ინგლ. ენებზე.

მათემატიკოსი, საქართველოსა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, ჰუმბოლტის პრემიის ლაურეატი. ბიოგრაფია, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა. დაბადების 75–ე წლისთავი.

414. გრიგოლია გ. , კერესელიძე დ. საქართველოს მდინარეებზე წყალდიდობების ალბათობისა და რისკის შეფასება // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია. გეოლოგია . – გვ. 233 – 244. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

415. თათარაშვილი ნ. ნუთუ ამის ღირსია დავით სარაჯიშვილი... // სპექტრი . – 2005 . – გვ. 95 – 102.

ქიმიის მეცნიერებათა დოქტორისა და ფილოსოფიის მაგისტრის, მეწარმისა და ქველმოქმედის ღვაწლი და დამსახურება საქართველოსა და ქართველთა წინაშე. დამოკიდებულება მისი სახელისა და ხსოვნისადმი.

416. ლეჟავა გ. ღვარცოფული მოვლენები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები კახეთის რეგიონში // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია. გეოლოგია . – გვ. 198 – 202. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

417. ტატაშიძე ზ. , წიქარიშვილი კ. , გელაძე გ. საქართველოს უღრმესი კარსტული უფსკრულები : (წინასწარი მონაცემები) // თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები . – 2003 . – ტ. 355 : გეოგრაფია. გეოლოგია . გვ. 162 – 170. რეზ. რუს. და ინგლ. ენებზე.

აგარის, ბზიფისა და წყალტუბოს კირქვულ მასივებზე განლაგებული მღვიმური სისტემები.

### ტექნიკური ლიტერატურა

418. დიდია თ. პირველი მატარებელი . – ფოთი. , 2002 . – 43 გვ.

ფოთის ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წარსული, სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა საქართველოსა და მისი მეზობელი



ქვეყნებისათვის, ნავსადგურისა და სამდინარო სახმელეთო გზების მშენებლობა. ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობის ისტორია. რკინიგზელთა დინასტია.

419. კარბელაშვილი ა. პირველი ქართული წიგნი კავშირგაბმულობაზე . – თბ. , 2005 . – 24 გვ.

საქართველოში სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირების განვითარება მე-19 ს-ის დასასრულსა და მე-20 ს-ის დასაწყისში და თბილისის საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურის უფროსის მათე იანქოშვილის წიგნი «ელექტრონი და საოცარი მანქანები» (1895 წ.).

420. კოპლატაძე ა. ჩემი წუთისოფელი . – თბ. , 2005 . – 313 გვ.

ინჟინერ ადერნიკ კოპლატაძის მემუარული ნაშრომი, რომელიც მის ცხოვრებასა და საქმიანობას ეხება.

421. მიმინოშვილი ა. უხუცესები და მწვანე ობელისკები . – თბ. , 2002 . – 238 გვ.

საქართველოს სამელიორაციო სისტემის ტექნიკური ექსპლუატაციის განხრით მოღვაწე წყალთა მეურნეობის დარგის სპეციალისტების ცხოვრება და საქმიანობა.

422. მიხეევი ვ. მიხეილ გრიგორაშვილი (გრეგორი) : რუსეთსა და ამერიკაში მოღვაწე გამოჩენილი ავიაკონსტრუქტორის ცხოვრება და შემოქმედება . – [ად. არ. წ. არ.] . – 59 გვ.

423. ჯაფარიძე ზ. , კარბელაშვილი ა. თბილისის სატელეფონო ქსელი 110 წლისაა . – თბ. , 2002 . – 121 გვ.

თბილისის სატელეფონო ქსელის შექმნა, განვითარება და დღევანდელი მდგომარეობა. ნაშრომს დართული აქვს სატელეფონო ქსელების სამმართველოს თანამშრომლების ფოტოები.

424. Церетели Г. , Абесадзе Р. Состояние энергетического сектора Грузии и основные направления его государственного регулирования // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ეკონომიკის სერია. – 2000 . – ტ. 8 . – №1-2 . – გვ. 39 – 48. რეზ. ქართ. და ინგლ. ენებზე.

### სამედიცინო ლიტერატურა

425. აკადემიკოს ეგნატე ფიფიას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი შრომათა კრებული / სარედ. საბჭო : ნ. გრიგოლია (რედ.) და სხვ. . – თბ. , 2001 . – 264 გვ.

ქირურგ ეგნატე ფიფიას ცხოვრება და საქმიანობა. კრებული ეხება ადამიანის სხვადასხვა ორგანოების დაავადებებსა და ქირურგიული მკურნალობის მეთოდებს.

426. დიდი მკურნალი . – თბ. , 2001 . – 127 გვ.

მოგონებები ექიმ-გინეკოლოგ თენგიზ ბოლქვაძეზე. წიგნს თან ახლავს მისი ბიოგრაფიის ამსახველი ფოტომასალა.

427. ქორჩილავა ჯ. საქართველოს სამედიცინო კალენდარი 2002 წელი . – თბ. , 2002 . – 1178 გვ.

კალენდრის პირველი ნაწილი მოიცავს ინფორმაციებს გარდაცვლილ ექიმთა შესახებ, მეორე ნაწილი წარმოაჩენს ქართული სამედიცინო აზრის განვითარების უახლეს მიღწევებს და დღეს მოღვაწე ექიმ მეცნიერებს. ნაშრომში წარმოდგენილია «ექიმის ფიცის» სამი ვარიანტი.

428. კერესელიძე ქ. , შენგელია რ. , ჩაგუნავა რ. «უსწორო კარაბადინის» ზოგიერთი კოსმეტიკურ-პარფიუმერული რეცეპტების ტექსტის დადგენისათვის // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2001 . - №1-4 . – გვ. 218 – 222. რეზ. რუს. ენაზე.

შეჯერება ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნთან \_ «კარაბადინი».

429. მგელიაშვილი თ. ქანანელის «უსწორო კარაბადინის» ერთი ნაკლები ფურცელი : («უსწორო კარაბადინისა» და ზაზა ფანასკერტელის «სამკურნალო წიგნის კარაბადინის» ტექსტების ურთიერთშეპირისპირების ზოგიერთი შედეგი) // საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე : ენისა და ლიტერატურის სერია . – 2002 . - №1-4 . – გვ. 119 – 136. რეზ. რუს. ენაზე.

430. ფუტკარაძე ნ. მკურნალი თურმანიძეები იმერხევში // საისტორიო მაცნე : ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი . - 2003 . - №12 . – გვ. 172 – 177. რეზ. რუს. ენაზე.

შავშეთის რაიონის იმერხევის მხარის სახალხო მკურნალი შუქრი თურმანიძე (ვარდიძე). თურქული გვარი \_ ექინჯი.

### სოფლის მეურნეობა

431. პეტრე ჟღენტი : ცხოვრება. მოღვაწეობა. მოგონებები. დაბადებიდან 100 წლისთავი . – თბ. , 2003 . – 149 გვ.

კრებულში წარმოდგენილია ცნობილი მეცნიერების, მეგობრების, მოწაფეებისა და ნათესავების მოგონებები აგროეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელ პეტრე ჟღენტზე.

432. საქართველოს კაკლოვანი კულტურები : (კაკალი, თხილი, ნუში) ჯიშები / ავტ. : ნ. შენგელია, ი. ვასაძე, ლ. ლასარეიშვილი და სხვ. . – თბ. , 2004 . – 68 გვ.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა ზონებში გავრცელებული კაკლის, თხილისა და ნუშის ძირითადი და სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი ჯიშები.

433. შარაშენიძე დ. ნიკოლოზ ხომიზურაშვილი . – გამოჩენილი მეცნიერი. პედაგოგი. აღმზრდელი. საზოგადო მოღვაწე . – თბ. , 2000 . – 15 გვ.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ნ. ხომიზურაშვილის ცხოვრება, მოღვაწეობა და ღვაწლი აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში.

### ბეჭდვის ისტორია

434. ქავთარია მ. ქართული წიგნის ბეჭდვის ისტორიიდან // ანამკი : ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი . – თბ. , 2002 . – გვ. 263 – 274. რეზ. ინგლ. ენაზე.

მარი ბროსეს პირად საარქივო ფონდში (ინახება პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში) დაცული, 1838 წ. პეტრე ქებაძისაგან საჩუქრად მიღებული ხელნაწერი, რომელიც 1805-1808 წლებში მოსკოვში ქართულ ენაზე დაბეჭდილ სადღესასწაულოს ეხება.

### ხელოვნება

435. თევზაია მ. ქართული ორნამენტი . – თბ. , 2005 . – 68 გვ.

წიგნში წარმოდგენილი მასალა დაყოფილია 5 ნაწილად : ქართული ხელნაწერები, ქვაზე კვეთილი ორნამენტი, კედლის ორნამენტული ფერწერა, ხეზე კვეთილი ორნამენტი და ოქრომჭედლობა. ავტორის მიერ მოპოვებული მასალის გარდა გამოყენებულია გ. ჩუბინაშვილის, რ. შმერლინგისა და ა. კრავჩენკოს მიერ შეგროვებული ნიმუშები და მასალა საქართველოს მუზეუმებიდან.

436. საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (თბილისი). სამეცნიერო სესია (24. 2001). XXIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დაარსების მე-80 წლისთავისადმი : მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, 20 – 21 ნოემბერი, 2001 წ. – თბ. , 2001 . – 16 გვ.

მოხსენებები ეხება არმაზის კულტს, მარტვილის ეკლესიის მოხატულობას, უფლისციხის ქვაბულებს, თბილისში აღმოჩენილ პონტოურ ხატებს, სვეტიცხოვლის დაფარნებს და სხვა.

437. სხირტლაძე ზ. ისტორიულ პირთა პორტრეტები გარეჯის მრავალმთის ქოლაგირის მონასტერში . – თბ. , 2000 . – 134 გვ.

ივრისპირა გარეჯის ერთ-ერთი გამოქვაბული მონასტრის \_ ქოლაგირის მთავარი ტაძრის ისტორიულ პირთა გამოსახულებების ვრცელი რიგის იდენტიფიკაცია, ფრესკების მხატვრულ-სტილისტური თავისებურებანი, ფრაგმენტულად შემონახული განმარტებითი წარწერების აღწერილობა.

438. ქართული ხელოვნების ნარკვევები / სარედ. საბჭო : თ. გერსამია და სხვ. . – თბ. , 2001 . – 93 გვ.

კრებულში წარმოჩენილია გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის წვლილი ქართული ხელოვნების შესწავლის საქმეში.

439. ხუსკივაძე ლ. გელათის მოზაიკა = The Mosaics of Gelati / [ინგლ. თარგმ. : ნ. მატარაძე; რედ : ი. ლორთქიფანიძე]. – თბ. , 2005 . – 66 გვ.

რეც : Giviashvili Irene. Leila Khuskivadze, The Mosaics of Gelati, 21 x 29,5 cm, 68 pp. , 29 ill. , published by L. Khuskivadze, designed by V. Rurua. Tb. , 2006 // Anadolu ve Zevresinde ORTA3AG . – I . – 2007 . – p. 195 – 196.

440. ალადაშვილი ნ. ოშკის ტაძრის «ვედრების» რელიეფი და მისი მიმართება ბიზანტიურ სკულპტურასთან // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5. – გვ. 63 – 76. რეზ. ინგლ. ენაზე.

ტაძრის სამხრეთ ფასადის ქტიტორთა ფიგურებიანი ვედრების კომპოზიცია, რომელზეც გამოსახულნი არიან ტაძრის აღმშენებლები – დავით მაგისტროსი (შემდგომში კურაპალატი) და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი.

441. ალადაშვილი ნ. ქრისტეს ამალღება - სვანეთის კედლის მხატვრობის გამორჩეული თემა // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 33 – 46. რეზ. ინგლ. ენაზე.

ამ კომპოზიციის სხვადასხვა რედაქციები, ადგილი მოხატულობის საერთო სისტემაში, სცენის ზეისტორიული შინაარსი, კავშირი საკურთხევის მხატვრობის უფლის დიდების თემასთან აცის, იფხის, ცალდაშის, ადიშის, ლაშთხვერის, გურყმელის, მაცხვარიშის, იენაშის, ლალამის სუფი ფარის, წვირმისა და მესტიის ეკლესიების მოხატულობებში.

442. ბურჭულაძე ნ. იკონოლოგიური ხასიათის შენიშვნები შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო ხელოვნების რამდენიმე ცნობილ ძეგლზე // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - №5 . – გვ. 16 – 31. რეზ. ინგლ. ენაზე.

XI საუკუნეებით დათარიღებული ზარზმის ანუ ლაკლაკიძეთა ღმრთისმშობლის ხატის, ხახულის ღმრთისმშობლის კარედის ტიხრული მინანქრის რამდენიმე ფირფიტის, შიომღვიმის მონასტრის კანკელის ფილისა და შემოქმედის მონასტრის მცირე ზომის ჭედური ხატისა და სხვა სახისმეტყველებითი ანალიზი.

443. ბურჭულაძე ნ. ქართული ხატების სინური პარალელები : XIII\_XIV საუკუნეების ხატები სინას მთის წმ. ეკატერინესა და უბისის წმ. გიორგის მონასტრებში // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 78 – 93. რეზ. ინგლ. ენაზე.

უბისის წმ. გიორგის ხატი, უბისისა და ანჩის კარედების კომპოზიციური სქემები – სინას წმ. მთასთან ქართველი ოსტატების შემოქმედებითი კონტაქტების დამადასტურებელი არგუმენტი.

444. გაგოშიძე გ. კიდევ ერთხელ «კვირიკეს ჯვრის» შესახებ // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5 . – გვ. 100 – 114. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეცნიერთა განსხვავებული მოსაზრებანი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხახულის კარედი ხატის ფრთებზე განლაგებული ორად გაყოფილი მინანქროვანი ჯვრის («კვირიკეს ჯვარი») თარიღის შესახებ. ყურადღება გამახვილებულია ნ. ბერუჩაშვილისა და ი. ბიჭიკაშვილის სტატიებზე “Новая атрибуция креста Квирикe, Хахульского складня” (ჟურნალი “Византийский временник”, 2002. - №№61. - გვ. 172 – 186).

445. გაგომიძე დ. , ბუჩუკური მ. ანანურის ღმრთისმშობლის ეკლესიის მოხატულობის კონსერვაცია // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 152 – 160. რეზ. ინგლ. ენაზე.

ეკლესიაში წარმოდგენილი XVII – XVIII საუკუნეების ხატწერის ნიმუშები, წმ. მხედრებისა და ასურელ მამათა სქემები და ფოტოსურათები.

446. გედევანიშვილი ე. კვლავ ერთი ადგილობრივი იკონოგრაფიული ტრადიციის შესახებ // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 105 – 115. რეზ. ინგლ. ენაზე.

გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის \_ ღმრთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესიის ნართექსში წარმოდგენილი მხატვრობა \_ შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრებათა ამსახველი სცენები (შესრულებული XII საუკუნის პირველ ნახევარში).

447. გვიგანიშვილი ი. ზეგანის საქტიტორო რელიეფი // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - № 5 . - გვ. 42 – 55. რეზ. ინგლ. ენაზე.

ისტორიული ერუმეთის ზეგანის (იგივე ზაქის) ეკლესიის ფასადზე გამოკვეთილი საქტიტორო კომპოზიციის, ფეხმორთხმული ფიგურისა და კურდღლის გამოსახულების სიმბოლური მნიშვნელობა.

448. გიორგობიანი ნ. ღმრთისმშობლის დაუჯდომელის დასურათების ისტორიისათვის გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4–5 . – გვ. 237 – 258. რეზ. ინგლ. ენაზე.

XVII – XVIII სს-ში დასურათებული ხელნაწერის ე.წ. ორბელიანისეული ნუსხის მინიატურული ციკლის დახასიათება.

449. დიდებულიძე მ. საღვთისმეტყველო პოლემიკის ასახვის საკითხისათვის ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის მოხატულობაში

// საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 116 – 146. რეზ. ინგლ. ენაზე.

წმ. ნიკოლოზისა და რომის პაპის წმ. სილიბისტროს ფიგურების ხაზგასმულად გამორჩეული გამოსახვა ტაძრის XIII საუკუნის კედლის მხატვრობაში.

450. ერისთავი ნ. ახალგორის ქსნის ერისთავთა სასახლის ინტერიერის უცნობი დეტალები // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - № 6 . – გვ. 252 – 267. რეზ. ინგლ. ენაზე.

XX ს-ის 30-იან წლებში გაძარცვული და გადამწვარი ქსნის ერისთავთა საცხოვრებელი კომპლექსის შიდა სივრცის მოწყობის, ე.წ. კაზმულობის ელემენტების \_ ჭერის

პლაფონების მოხატულობისა და შპალერის ვიზუალური აღდგენა 1952 წლის ფოტომასალის მიხედვით.

451. ვაჩიშვილი ნ. «ურჩხული» სოფელ რეხიდან // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5 . – გვ. 30 – 33. რეზ. ინგლ. ენაზე.

XIV-XV სს. ეკლესიის ახლოს აღმოჩენილ ლოდზე გამოსახული «ურჩხულისებური» ფიგურების, ავტორის აზრით წარმართული ხანის ძეგლის გრაფიკული გამოსახულების აღწერილობა.

452. ვირსალაძე თ. საკვირიკის ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტები (1950-იანი წლები) // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 172 – 182. რეზ. ინგლ. ენაზე.

IX საუკუნეში ბორჯომის ხეობაში აგებული საკვირიკის ტაძრის მხატვრობის ნაშთების დათარიღება.

453. თვარაძე ა. დავით ულუს მინიატურა მარკო პოლოს წიგნიდან “მსოფლიოს აღწერილობა” // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5 . – გვ. 215 – 226. რეზ. ინგლ. ენაზე.

1407 წელს გამოცემულ დასახელებულ წიგნში შესული ცნობები საქართველოს შესახებ და ანონიმი ავტორის მიერ შესრულებული აღმოსავლეთ საქართველოს მეფის დავით VII-ის მინიატურის აღწერილობა.

454. თუმანიშვილი მ. ვახტანგ ბერიძეს – დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 279 – 280. რეზ. ინგლ. ენაზე.

ხელოვნებათმცოდნის გახსენება.

455. ლორთქიფანიძე ი. წმინდა გიორგის ცხოვრების ციკლი უბისის კედლის მხატვრობაში // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 147 – 179. რეზ. ინგლ. ენაზე.

პარალელი იმავე ეპოქის ძეგლის დეჩანის მონასტრის (სერბეთი) მოხატულობასთან. თბილისში 1993 წელს ჩატარებულ გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის XXIX სამეცნიერო სესიაზე წაკითხული მოხსენება.

456. მამაიაშვილი ი. გელათის ღმრთისმშობლის ტაძრის საკურთხევლის აფსიდის მოხატულობის კომპოზიციის სტრუქტურა და მხატვრული გადაწყვეტა // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 144 – 150. რეზ. ინგლ. ენაზე.

457. მამაიაშვილი ი. ღმრთისმშობლის მიძინების ტექსტის ილუსტრაციები გელათის მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობაში // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4 – 5 . – გვ. 227 – 236. რეზ. ინგლ. ენაზე.

აპოკრიფული ლიტერატურის გავლენა «ღმრთისმშობლის მიძინების» სცენის იკონოგრაფიის ჩამოყალიბებაში, რომლის უადრესი ქართული თარგმანი X ს-ით თარიღდება. ტაძრის სხვადასხვა დროს შესრულებული მოხატულობის აღწერილობა.

458. მაჩაბელი კ. ღმრთისმშობელი – მცირე ორანტა ქართულ ჭედურობაში // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5 . – გვ. 115 – 130. რეზ. ინგლ. ენაზე.

XI-XII სს. ვერცხლის ჯვარის უშგულიდან ღმრთისმშობლის რელიეფური გამოსახულებით; მისი კომპოზიციური სტრუქტურა და მხატვრული ღირებულებები.

459. მხატვრული ტექსტილის ცენტრი სოლოლაკში // სპექტრი . – 2005 . – გვ. 123 – 124.

ინფორმაციული ხასიათის მასალა «ქართული ტექსტილის ჯგუფის» მიერ დაარსებული დასახელებული ცენტრის შესახებ.

460. ოქროპირიძე ა. ბეთანიის მხატვრობა და მართლმადიდებლური ფერწერის ზოგიერთი ასპექტი // სპექტრი . – 2005 . – გვ. 23 – 29. რეზ. ინგლ. ენაზე.

ბეთანიის ღვთისმშობლის ტაძრის XII საუკუნის მხატვრობის რამდენიმე მახასიათებელი, რენესანსთან მისი მიმართება.

461. სიმონიშვილი ნ. ნიკოპეას ტიპის ღვთისმშობლის გამოსახულებისა და ქტიტორთა ჯგუფური პორტრეტის ურთიერთმიმართების საკითხისათვის ატენის სიონის მოხატულობაში // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - №5 . – გვ. 189 – 234. რეზ. ინგლ. ენაზე.

ატენის სიონის აფსიდის დეკორისათვის შერჩეული ღვთისმშობლის ხატის იკონოგრაფიული და სტილისტური ანალიზი, კავშირი თანადროულ ბიზანტიურ ხელოვნებასთან, XI ს-ის მეორე ნახევრის ბიზანტიური არეალის ძეგლებთან შედარება.

462. სხირტლაძე ზ. , ბუჩუკური მ. მოხატულობის ფრაგმენტები ქემერტის ეკლესიიდან // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 9 – 20. რეზ. ინგლ. ენაზე.

1991 წლის მიწისძვრის დროს ჩამოშლილი XII-XIII საუკუნეების ფრესკების ქვეშ გამოჩენილი თავდაპირველი მოხატულობის ორი კომპოზიციის აღწერილობა და შესრულების სავარაუდო პერიოდის განსაზღვრა.

463. სხირტლაძე ზ. წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ციკლი უდაბნოს მონასტრის მთავარი ეკლესიის სადიაკვნეს მოხატულობაში : ახალი მონაცემები და დაკვირვებები // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 28 – 49. რეზ. ინგლ. ენაზე.

სადიაკვნეს ფრესკების (წმ. დავითის ცხოვრების ფერწერული ციკლი) შესრულების სავარაუდო პერიოდად X საუკუნის მიჩნევა.

464. ქავთარია ნ. კამარათა სერიის მხატვრული გადაწყვეტა კალიპოსურ ოთხთავთა გაფორმებაში // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - №5 . – გვ. 235 – 252. რეზ. ინგლ. ენაზე.

შავი მთის ქართული სავანის XI საუკუნის კალიპოსურ ხელნაწერებში დაცული სახარების ტექსტის ინდექსთა სისტემა ე.წ. კანონთა ცხრილებში. კამარების დეკორირების მოტივები, პრაქტიკული დანიშნულება და სიმბოლური მნიშვნელობა.

465. ქებურია ს. სახარების ყდა \_ იკონოგრაფიული და სახვითი სპეციფიკა // სამეცნიერო შრომების კრებული : ხელოვნებათმცოდნეობა . – 2003 . - №5 . – გვ. 253 – 260. რეზ. ინგლ. ენაზე.

გაფორმების წესი, თემატიკა, ყდის გარე პირების იკონოგრაფიული მნიშვნელობა, ქართულ სახარებათა მოჭედილობა.

466. ყენია მ. კიდევ ერთხელ ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობის პროგრამის გამო // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 89 – 104. რეზ. ინგლ. ენაზე.

1991 წელს მიწისძვრის შედეგად დანგრეული ეკლესიის მოხატულობის (XI ს. II მეოთხედი) შესწავლა ეთერ ვირსალაძის მონოგრაფიისა და შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით. მხატვრობის უმთავრესი თეოლოგიური იდეა \_ ხსნა გამოჩენისა უფლისა, განსაკუთრებული იდეით განკაცებაზე.

467. ყენია მ. სამეფო პორტრეტი ოენაშის ო ოანის ეკლესიის მოხატულობაში // საქართველოს სიძველენი . – 2002 . - №2 . – გვ. 94 – 106. რეზ. ინგლ. ენაზე.

ზემო სვანეთში, ენაშის ანის ეკლესიის (შუა საუკუნეები) მოხატულობაში შემორჩენილი საერო პირის – სავარაუდოდ კონსტანტინე I-ის (1293 – 1327) პორტრეტი.

468. ყენია მ. სიტყვისა და გამოსახულების მიმართების საკითხისათვის ქართულ მოხატულობებში : (იფარის მხატვრობის მაგალითზე) // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4-5 . – გვ. 147 – 168. რეზ. ინგლ. ენაზე.

მეფის მხატვარ თევდორეს მიერ შესრულებული იფარის წმ. მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა (სვანეთი XI ს.) და მასზე გაკეთებული წარწერების ადგილი მხატვრობის საერთო იდეურ და მხატვრულ გადაწყვეტაში.

469. ჭიჭინაძე ნ. კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI – XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები // საქართველოს სიძველენი . – 2003 . - №4 – 5 . – გვ. 131 – 146. რეზ. ინგლ. ენაზე.

მაცხოვრის ქართული ფერწერული ხატების პროტოტიპები და კონსტანტინოპოლის სიწმინდეებთან – სასწაულმოქმედ სახეებთან მათი კავშირი და ურთიერთმიმართება.

470. ჭიჭინაძე ნ. კონსტანტინოპოლის სასწაულმოქმედი სახეები და XI-XIV საუკუნეების ქართული ფერწერული ხატები : ნაკვეთი მეორე // საქართველოს სიძველენი . – 2004 . - №6 . – გვ. 73 – 88. რეზ. ინგლ. ენაზე.

ღმრთისმშობლის ქართული ხატების იკონოგრაფიის მიმოხილვა. ბიზანტიის დედაქალაქის სახელგანთქმულ სიწმინდეთა ადგილისა და როლის განსაზღვრა დედაღმრთისას ქართული ხატების შექმნაში.

471. ჭოლოშვილი ნ. კურატორების საერთაშორისო სიმპოზიუმი თბილისში // სპექტრი . – 2005 . – გვ. 115 – 116.



